



საჯარო

დირექტორთა საბჭოსთვის წარდგენილი პირველი
წლიური მონიტორინგის ანგარიში
გამოსასწორებელი და შემარბილებელი ღონისძიებების
სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე
ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი)
საავტომობილო გზის პროექტისთვის საქართველოში
(აზიის განვითარების სესხი 3803)

ნოემბერი, 2023

წინამდებარე დოკუმენტის გასაჯაროება ხორციელდება ADB-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შესაბამისად.

აბრევიატურები

ADB	– აზიის განვითარების ბანკი
AIP	– ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა
AMP	– ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკა 2012
BCRC	– საბჭოს შესაბამისობის შემსწავლელი კომიტეტი
CHGAP	– კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა
CHMP	– კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა
CNA	– თემის საჭიროებების შეფასება
CRP	– შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი
EBRD	– ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EIA	– გარემოზე ზემოქმედების შეფასება, გზმ
EMP	– გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
EMR	– გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში
FAO	– სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FGD	– ფოკუსჯგუფის დისკურია
GAP	– გენდერული სამოქმედო გეგმა
GRM	– მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოში
HCRP	– ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა
IEE	– საწყისი გარემოსდაცვითი შეფასება
LARP	– მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა
LRP	– საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა
KVCDP	– ხადის ხეობის კონცეფციის განვითარების გეგმა
KVDP	– ხადის ხეობის განვითარების გეგმა
MAP	– შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა
MRDI	– რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
MOESD	– ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
NACHP	– საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
NGO	– არასამთავრობო ორგანიზაცია
PCR	– ფიზიკური კულტურული რესურსები
RAP	– გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა
RRP	– პრეზიდენტის ანგარიში და რეკომენდაცია
SEMP	– სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
SEP	– დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა
SMR	– სოციალური მონიტორინგის ანგარიში
SEMP	– სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
SPS	– საგარანტიო პოლიტიკა
SSEMP	– ადგილსპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
SUDA	– სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო
TSEMP	– თემატური გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

შენიშვნა

წინამდებარე ანგარიშში სიმბოლო “\$” აღნიშნავს აშშ დოლარს.

ნებისმიერი ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადების, პროექტის დაფინანსების, განსაზღვრის ან კონკრეტულ ტერიტორიასა თუ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე მითითების დროს აზიის განვითარების ბანკი არ ცდილობს აღნიშნული ტერიტორიის ან სივრცის სამართლებრივი თუ სხვა სტატუსის შეფასებას.

შინაარსი

	გვერდი
მადლიერება	i
I. შესავალი	1
II. პროექტის აღწერა	2
III. შესაბამისობის შესწავლის მიგნებები	3
IV. პირველი მონიტორინგის მისიის შედეგები	5
A. გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა	5
B. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა	18
V. დასკვნა	21
A. გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა	31
B. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა	32
VI. შენიშვნები და რეკომენდაციები	33
დანართები	
1. შესაბამისობის განხილვის მოთხოვნა	34
2. დასკვნითი ანგარიში - შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის მოთხოვნა No. 2021/1 ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) საავტომობილო გზის პროექტი საქართველოში (აზიის განვითარების ბანკის სესხი 3803) ცნრილი 5. მიგნებები შეუსაბამობებისა და ზიანის შესახებ და ხელმძღვანელობის შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებები	40
3. იმ პირთა სია, რომლებთანაც შედგა შეხვედრა მონიტორინგის პროცესში	48

მადლიერება

შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღიარებს და გამოხატავს მადლიერებას ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც წვლილი შეიტანა ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეითი-კობი) საავტომობილო გზის პროექტის პირველი ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშის მომზადების პროცესში. ადგილზე ვიზიტის დროს თანამშრომლობისთვის ჯგუფი (CRP) მადლობას უხდის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს, მომჩივნებს, მწვანე ალტერნატივასა და საზოგადოების სხვა წევრებს. ჯგუფი (CRP) ასევე გამოხატავს მადლიერებას აზიის განვითარების ბანკის (ADB), დირექტორთა საბჭოს, კერძოდ, საჩივრების განხილვის კომიტეტის წევრების, აზიის განვითარების ბანკის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი პერსონალის მიმართ.

I. შესავალი

1. 2021 წლის 6 იანვარს, შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) მიიღო შესაბამისობის განხილვის მოთხოვნა აზიის განვითარების ბანკის (ADB) #3803 სესხთან: ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფნის (ქვეშეთი-კობი) საავტომობილო გზის პროექტი (პროექტი) - დაკავშირებით, რომელიც წარადგინეს ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლებმა მანანა ქოჩლაძემ და მარიამ დევიძემ ხადის ხეობაში მცხოვრებ ორზე (2) მეტ მომჩივანთა ჯგუფის სახელით.¹ საჩივარი შეეხება ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფნის მონაკვეთის მშენებლობას, რომელიც აკავშირებს თბილისს მის ჩრდილოეთით მდებარე მცხეთა-მთიანეთის რეგიონსა და სამხრეთით მდებარე ქვემო ქართლის რეგიონთან. მომჩივნებმა წამოჭრეს რიგი პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა ADB-ის შესაბამისობას თავის პოლიტიკასთან და აღნიშნეს, რომ ხადის ხეობის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებს, სავარაუდოდ, მიადგათ ზიანი: ხადის ხეობის განადგურებისა და ალტერნატივების არასათანადო განხილვის; საარსებო წყაროებსა და ადგილობრივ სარგებელზე ზემოქმედების; პროექტთან დაკავშირებული პრობლემებისა და ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების (PCR); და გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების ანალიზის ხარისხის გამო, რაც ასახულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში.

2. 2021 წლის 24 მარტს შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) ADB-ის დირექტორთა საბჭოს (საბჭო) წარუდგინა ანგარიში აღნიშნული საჩივრის დასაშვებობის დადგენის შესახებ,² ხოლო 2022 წლის 18 ნოემბერს - CRP-ის საბოლოო ანგარიშის პროექტი შესაბამისობის განხილვის შესახებ³. 2023 წლის 24 იანვარს საბჭომ განიხილა CRP-ის შესაბამისობის საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნები და ADB-ის ხელმძღვანელობას მოსთხოვა პროექტის გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის (RAP) წარდგენა CRP-ის მიერ აღმოჩენილი შესაბამისობის აღმოსაფხვრელად. ამის შემდეგ, 2023 წლის 28 აპრილს, ADB-ის ხელმძღვანელობამ საბჭოს წარუდგინა მის მიერ შემოთავაზებული გამოსასწორებელი ღონისძიებები. საბჭომ 2023 წლის 19 მაისს განიხილა და დაამტკიცა პროექტის გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა (RAP).⁴

3. ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AMP)⁵ 192-ე მუხლის შესაბამისად, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) მონიტორინგს გაუწევს საბჭოს მიერ დამტკიცებული გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებას საჩივართან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს პროექტის შესაბამისობაში მოყვანა ADB-ის საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებთან. ამასთან, AMP ასევე ითვალისწინებს მონიტორინგის ვადების კონკრეტულ პროექტზე მორგებას, გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებიდან გამომდინარე. მაგრამ, როგორც წესი, ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს. წინამდებარე ანგარიში CRP-ის

¹ შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP). 2021. [შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნა საქართველოსთან დაკავშირებით: ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) საავტომობილო გზის პროექტი](#). მანილა.

² შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი. 2021. [დასაშვებობის ანგარიში დირექტორთა საბჭოს შესაბამისობის ანალიზის პანელისადმი #2021/1 მოთხოვნის შესახებ საქართველოში ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) გზის პროექტთან დაკავშირებით](#) (აზიის განვითარების ბანკის სესხი 3803). მანილა.

³ CRP. 2023. [დასკვნითი ანგარიში - მოთხოვნა No. 2021/1 ჩრდილო-სამხრეთის ღერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) საავტომობილო გზის პროექტი საქართველოში \(აზიის განვითარების ბანკის სესხი 3803\)](#). მანილა.

⁴ აზიის განვითარების ბანკი (ADB). 2023. [გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა საქართველოსთან დაკავშირებით: ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) გზის პროექტი](#). მანილა.

⁵ ADB. 2012. [ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკა](#). მანილა.

მონიტორინგის პირველი ანგარიშია, რომელიც აღწერს და აფასებს საბჭოს მიერ დამტკიცებული გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელების პროცესში მიღწეულ წინსვლას.

II. პროექტის აღწერა

4. პროექტი ითვალისწინებს (i) ქვეშეთის და კობის დასახლებებს შორის დაახლოებით 23 კილომეტრი (კმ) სიგრძის კლიმატმედეგი შემოვლითი გზისა და გზისპირა ქალაქებამდე და სოფლებამდე მისასვლელი, დაახლოებით 5 კმ სიგრძის კლიმატმედეგი და ნებისმიერი ამინდისათვის შესაფერისი შემოვლითი გზების მშენებლობას; (ii) ხადის ხეობის ვიზიტორების ცენტრის მოწყობას; და (iii) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პროექტთან და ხელშეკრულების მართვასთან დაკავშირებული შესაძლებლობების განვითარებას. გზის მშენებლობა, რაც მოიცავს 5 გვირაბს (მათ შორის 9-კმ-იანი გვირაბი, რომელიც ყველაზე გრძელი გვირაბია საქართველოში), და 5 ხიდს (რომელთაგან ერთ-ერთი თაღოვანი ხიდი) არის აუთვისებელ ტერიტორიაზე განხორციელებული ახალი პროექტი, რომელიც გადის მთიან რელიეფზე და გადაჭიმულია ხადის ხეობაში, რომელიც ცნობილია, როგორც 60 კომპის ხეობა. დირექტორთა საბჭომ ADB-ის სესხი 2019 წლის 1 აგვისტოს დაამტკიცა, რასაც ხელი მოეწერა 2019 წლის 27 აგვისტოს.

5. დაგეგმილი პროექტის დასრულების თარიღია 2026 წლის 31 დეკემბერი. პროექტის მთლიანი ღირებულებაა 558,6 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც 415 მილიონ აშშ დოლარს აფინანსებს ADB; 60 მილიონ აშშ დოლარს - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ხოლო 83,6 მილიონი აშშ დოლარი თანადაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ.⁶ მსესხებელი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად, პროექტის მენეჯმენტისა და მშენებლობის ზედამხედველობის კონსულტანტი (შემდგომში მოიხსენიება, როგორც ზედამხედველობის კონსულტანტი) არის Uluslararası Birleşmiş Müşavirlik A.Ş. (UBM), შპს China Railway Tunnel Group Co. არის გვირაბის მონაკვეთის (ლოტი 1) კონტრაქტორი, ხოლო China Railway 23rd Bureau Group Co., არის მე-2 ლოტის გზის მონაკვეთის მშენებლობის კონტრაქტორი. ADB-ის შემთხვევაში, პროექტის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის საქართველოს წარმომადგენლობა (GRM).

6. პროექტს მინიჭებული ჰქონდა A კატეგორია როგორც გარემოსდაცვითი, ასევე იძულებითი განსახლების ზემოქმედების თვალსაზრისით (i) გარემოზე მუუქცევადი ზემოქმედების გამო და (ii) იმიტომ, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული მიწის შესყიდვა უშუალოდ შეეხებოდა დაახლოებით 158 ოჯახს (616 ადამიანი), საიდანაც 30 ოჯახი იყო სოციალურად დაუცველი.

7. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროექტი ADB-ის ვებგვერდზე 2018 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა, ხოლო საბოლოო გზშ-ის გასაჯაროება ADB-ის ვებგვერდზე 2019 წლის აპრილში განხორციელდა.⁷ პროექტს მინიჭებული ჰქონდა A კატეგორია იძულებითი განსახლების ზემოქმედების თვალსაზრისით, რადგან პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა 158 ოჯახის (616 ადამიანი) მათ შორის 30 სოციალურად დაუცველი ოჯახის

⁶ ADB. [საქართველო: ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) საავტომობილო გზის პროექტი](#). ფაქტობრივი ინფორმაცია პროექტის შესახებ.

⁷ საქართველოს მთავრობა. 2019. [საქართველო: ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) საავტომობილო გზის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება](#). თბილისი.

გადაადგილება. მომზადდა და ADB-ის პროექტის ვებგვერდზე განთავსდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმების (LARPs) პროექტები 1-ელი ლოტისა (გვირაბის ყველაზე გრძელი მონაკვეთის ჩათვლით) და მე-2 ლოტისთვის (მათ შორის მთავარი გზის მონაკვეთი).⁸

8. ADB-ის გზმ-ის პროექტის შიდა განხილვის შედეგი იყო დამატებითი ეკოლოგიური კვლევებისა და კრიტიკული ჰაბიტატების შეფასების საბოლოო გზმ-ში ასახვა; ხმაურის მოდელირების უფრო დეტალური განხილვა; ზაქათკარის ვიზიტორთა ცენტრის კონცეფციის ილუსტრაცია/ვრცელი აღწერა; და სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (SEMP) ჩარჩოსა და პროფესიული, საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმის შაბლონის დოკუმენტში გათვალისწინება. აქედან ზოგიერთი ღონისძიება განხორციელდა ADB-ისა და EBRD-ის მიერ პროექტის მოსამზადებლად გათვალისწინებული დამატებითი რესურსების გამოყენებით. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP) დასრულებამდე დოკუმენტის განხილვის გარდა, ADB-მ ჩაატარა დამოუკიდებელი კვლევა მიწის საბაზრო ღირებულების შესახებ საპროექტო ზონაში 1-ელ და მე-2 ლოტებში შერჩეული ნაკვეთების შერჩევის გზით, რომლითაც დადგინდა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული კომპენსაცია ტოლია ან აღემატება ძირითად საბაზრო ღირებულებას.

9. EBRD-ის მოთხოვნის შესაბამისად, პროექტისთვის მომზადდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა (SEP). გეგმაში აისახა 2018 წლის აპრილიდან 2019 წლის ივნისამდე პერიოდში ჩატარებული 45 საკონსულტაციო ღონისძიება. მასში მითითებული იყო, რომ ამ ღონისძიებებიდან 25 შეეხებოდა გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებს და ჩატარდა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პროექტის შესახებ ინფორმირებისა და მათი მოსაზრებების გაგების მიზნით. დოკუმენტი ასევე აღწერდა, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო პროექტით დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გაგრძელების პროცესი პროექტის ციკლის განმავლობაში.

10. პროექტის განხორციელების დროს დაიგეგმა და შესრულდა საგარანტიო ღონისძიებებთან დაკავშირებული დამატებითი კვლევები/ანგარიშები, მათ შორის (i) თემის საჭიროებების შეფასება (CNA); (ii) კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა (CHGAP); (iii) არქეოლოგიური სამუშაოები დიდველის, ხადის ხეობის ტერიტორიებზე; (iv) დროებითი ობიექტების შეფასების ანგარიში; (v) პროექტის სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმების შეჯამება (SEMP); (vi) ხმაურის მოდელირების კვლევა; (vii) ხადის ხეობის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა (HCRP); (viii) ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში; და, (ix) კულტურული მემკვიდრეობის მართვის განხორციელების მიმოხილვა შარლ ლე კენის მიერ. მალე დასრულდება ხადის ხეობის განვითარების გეგმისა (KVDP) და პრიორიტეტული საინვესტიციო გეგმის მომზადება.

III. შესაბამისობის შესწავლის მიგნებები

11. შესავალში (ნაწილი I) მოცემულ ინფორმაციასთან ერთად, წინამდებარე ნაწილი აჯამებს შესაბამისობის მიმოხილვის, იმ ანგარიშის მიგნებებს, რომელიც საფუძვლად დაედო ხელმძღვანელობის გამოსასწორებელ სამოქმედო გეგმას (RAP).

⁸ საქართველოს მთავრობა. 2019. [ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) საავტომობილო გზის პროექტი: გვირაბის მონაკვეთის \(CP-01\) განსახლების გეგმა; ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) საავტომობილო გზის პროექტი: გზის მონაკვეთის \(CP-02\) განსახლების გეგმა](#). თბილისი.

12. შესაბამისობის მიმოხილვისას შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) გამოიკვლია პროექტის შესაბამისობა პროექტის მომზადებისა და დამტკიცების დროს მოქმედ ADB-ის შემდეგ პოლიტიკასა და საოპერაციო პროცედურებთან.

- საგარანტიო პოლიტიკა (2009);
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა (2018);
- საოპერაციო სახელმძღვანელო, ნაწილი F1 (საგარანტიო პოლიტიკა) გამოქვეყნებული 2013 წლის 1-ელ ოქტომბერს;
- საოპერაციო სახელმძღვანელო, ნაწილი C2 (გენდერისა და განვითარების საკითხები ADB-ის ოპერაციებში), გამოქვეყნებული 2010 წლის 6 დეკემბერს;
- საოპერაციო სახელმძღვანელო, ნაწილი C3 (სოციალური საკითხების გათვალისწინება ADB-ის ოპერაციებში) გამოქვეყნებული 2010 წლის 6 დეკემბერს; და
- საოპერაციო სახელმძღვანელო, ნაწილი L3 (ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა) გამოქვეყნებული 2019 წლის 28 იანვარს.

13. შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) შესაბამისობის განხილვის ანგარიშში⁹ გამოავლინა ADB-ის შეუსაბამობები, რომლებიც დაკავშირებული იყო საბჭოს დასტურის წინ კომპლექსური შემოწმებისა და განხილვის პასუხისმგებლობებთან შემდეგ საკითხებთან მიმართებით: გარემოზე ზემოქმედების შეფასება; ჰაერის ხარისხის მონიტორინგი; ხმაურის მონიტორინგი, ზემოქმედება ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე (PCR); არასასურველი სოციალური ზემოქმედება მიწის შესყიდვის, მოსახლეობის მიწაზე ხელმისაწვდომობის, ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედებისა და საოპერაციო ფაზის საკითხებთან, კერძოდ დანაგვიანების, ნარჩენების, თემის უსაფრთხოებისა და დაცულობის საკითხებთან დაკავშირებით; გენდერული მოსაზრებები სამუშაოების ეტაპზე; შემწეობები და არაფულადი დახმარება ან საარსებო წყაროს აღდგენა და გაუმჯობესება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმების (LARP) ფარგლებში. შეუსაბამობები ასევე დაკავშირებული იყო საბჭოს დასტურის შემდგომი მონიტორინგისა და ზედამხედველობის პასუხისმგებლობასთან შემდეგ საკითხებთან მიმართებით: ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე (PCR) ზემოქმედება; პროექტის სოციალური სარგებლის მაქსიმალურად გაზრდის უზრუნველყოფა პროექტის შესაბამისი დიზაინის შერჩევით; და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშებთან (EMRs), სპეციფიკურ გარემოსდაცვითი მართვის გეგმებთან (SEMPs) (მაგ. ადგილსპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმები - SSEMPs და თემატური გარემოსდაცვითი მართვის გეგმები - TSEMPs) და PCR-ებთან დაკავშირებულ საბაზისო შეფასებასთან მიმართებით; და ADB-ის მიერ განხორციელებული ზედამხედველობა, რომელიც არ შეესაბამებოდა პროექტის რისკებსა და ზემოქმედებას.

14. შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) ასევე აღნიშნა, რომ ხსენებულმა შეუსაბამობებმა, გარკვეულ შემთხვევებში, გამოიწვია ზიანი, ხოლო სხვა შემთხვევებში არსებობდა ზიანის რისკი. იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი მკაფიოდ იყო განსაზღვრული, CRP-მა ADB-ის მენეჯმენტის მხრიდან მოითხოვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, როდესაც შეუსაბამობის აღმოჩენა შემარბილებელი

⁹ CRP. 2022. [დასკვნითი ანგარიში - მოთხოვნა No. 2021/1 ჩრდილო-სამხრეთის ღერუების \(ქუშეთი-კობი\) საავტომობილო გზის პროექტი საქართველოში \(აზიის განვითარების ბანკის სესხი 3803\). ცხრილი 5. მიგნებები შეუსაბამობებისა და ზიანის შესახებ და ხელმძღვანელობის შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებები, გვ. 121-126.](#) მანილა.

ღონისძიების განხორციელებლობის შემთხვევაში გულისხმობდა სამომავლო ზიანის დარჩენილ რისკს, CRP-ის რეკომენდაცია ასევე ითვალისწინებდა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. საბჭოს მიერ დამტკიცებულ CRP-ის ანგარიშზე ADB-ის ხელმძღვანელობის საპასუხო შეთავაზება იყო, რომ აუცილებელი ღონისძიებები აისახოს გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის (RAP) ფარგლებში, ხოლო დარჩენილი ზიანის რისკზე რეაგირების ღონისძიებები აისახოს შემარბილებელ სამოქმედო გეგმაში (MAP). ამასთან, CRP-ის ანგარიშზე რეაგირების ფარგლებში, ADB-ის ხელმძღვანელობა ასევე იღებს როგორც RAP-ის, ასევე MAP-ის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას.

15. მონიტორინგის პირველი ანგარიშის მომზადებისას შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) განიხილა პროექტის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პირველი ანგარიში სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ და სხვა საპროექტო დოკუმენტები; გამართა შეხვედრები საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, კერძოდ, განმახორციელებელ უწყებასთან - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან (RD), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა (NACHP) და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MOESD) სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან (SUDA); ზედამხედველობის კონსულტანტთან და ორ კონტრაქტორთან; მომჩივნებთან და საზოგადოების სხვა წევრებთან; ასევე ADB-ის პროექტის გუნდთან. 2023 წლის 9-13 ოქტომბერს შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) პირადად განახორციელა მისია თბილისში, კობში და ეწვია საპროექტო უბანს, პროექტის ფარგლებში მოხვედრილი სოფლების ჩათვლით.

16. ხსენებულ პირველ სადამკვირვებლო მისიას ხელმძღვანელობდა შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) თავმჯდომარე ელისეა გოზუნი, ხოლო CRP-ის წევრი ვაიდუესვარან სანკარანი და შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის ოფისის შესაბამისობის მიმოხილვის უფროსი ოფიცერი ზუბაიდა მუსტაფა (მოკლევადიანი დავალებით) ახორციელებდნენ CRP-ის მისიის მხარდაჭერას. იმ პირობა სია, რომლებსაც CRP შეხვდა მისიის ფარგლებში, მოცემულია მე-3 დანართში.

IV. მონიტორინგის პირველი მისიის შედეგები

17. წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში აფასებს მიღწეულ წინსვლას პროექტის შესაბამისობის აღდგენის მიმართულებით საბჭოს მიერ დამტკიცებული გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელების გზით, რომელშიც შედის ორი დანართი (დანართი 1: ზიანის არსებობის შემთხვევაში შეუსაბამობების გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა (RAP) და დანართი 2: ზიანის რისკის არსებობის შემთხვევაში შეუსაბამობების შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა (MAP)), რომელთა განხორციელებაზე თანხმობა განაცხადა ADB-ის მენეჯმენტმა და რომლებიც ასახულია წინსვლის პირველ ანგარიშში.

A. გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა

1. გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 1(A) – ფიზიკური კულტურული რესურსების არსებული მდგომარეობის შეფასება

No.	ADB-ის შეუსაბამობების დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
1(a)	ფიზიკური კულტურული რესურსები (PCR) ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) საწყისი შეფასება	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს ანგარიშს, რომელშიც კონსოლიდირებული იქნება ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) არსებული მდგომარეობის შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP) მიერ შეგროვებული მონაცემები და გამოაქვეყნებს ამ მონაცემებს პროექტის ვებგვერდზე.</p> <p>ანგარიშში აისახება NACHP-ის მეორე შუალედური ანგარიში და კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა (CHGAP) და მათ შესაბამისი დანართები და დამატებები.</p> <p>განხორციელების ვადა: 2023 წლის ივნისი</p>	<p>შესრულებული.</p> <p>კონსოლიდირებული ანგარიში ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) შესახებ გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე (დასახელება “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშები – კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა”).</p>

18. **მიგნებები.** შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) განიხილა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს [\(NACHP\) ანგარიში - კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა \(CHGAP\); კონსოლიდირებული ვერსია](#), რომელიც პროექტის ვებგვერდზე 2023 წლის 16 ივნისს გამოქვეყნდა.¹⁰

შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) აღმოაჩინა, რომ ანგარიშში შეტანილია მეორე შუალედური ანგარიში და ასევე კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა (CHGAP), რომლებიც მომზადდა, შესაბამისად, 2020 წლის ნოემბერსა და 2021 წლის ივლისში. ასევე შეტანილია ყველა დანართი და დამატება. ახლა ეს ანგარიში მოიცავს ყოვლისმომცველ საწყის ინფორმაციას მოცემულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ყველა ობიექტისა და ძეგლის შესახებ. ანგარიშში ასევე განსაზღვრულია ის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები და ძეგლები, რომლებიც მდებარეობს ფიზიკური ზემოქმედების 50-მეტრიან ზონასა და ვიზუალური ზემოქმედების 300-მეტრიან ბუფერულ ზონაში, რომელთა შემთხვევაში, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, აუცილებელია სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება.

19. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** ADB სრულად შეესაბამება წინამდებარე გამოსასწორებელ ღონისძიებას.

2. გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა 1(B) – კულტურულ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება

¹⁰ საქართველოს მთავრობა. 2023. [ქვემოთ-კობის საავტომობილო გზის პროექტი საჯარო ინფორმაციის ვებგვერდი](#). თბილისი.

No.	ADB-ის შესაბამობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
1(b)	<p>ფიზიკური კულტურული რესურსები კულტურულ ლანდშაფტზე შემოქმედების შეფასება და შემცირება</p>	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს საბოლოო ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმას, რომელიც დამტკიცებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ.</p> <p>ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა მოიცავს კულტურული ლანდშაფტის შეფასებას და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გეოსივრცულ ინვენტარიზაციას. განხორციელების ვადა: 2023 წლის დეკემბერი</p> <p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ხადის ხეობის განვითარების გეგმის პროექტს, რომელიც დასამტკიცებლად წარდგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.</p> <p>ხადის ხეობის განვითარების გეგმა დაეფუძნება ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმას და მოიცავს ზომებს კულტურულ ლანდშაფტზე პროექტის შემოქმედების შესამცირებლად. განხორციელების ვადა: 2023 წლის დეკემბერი</p>	<p>შესაბამება განრიგს. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა დაასრულებულია და წარდგენილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში დასამტკიცებლად. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით, ხადის ხეობის კონცეფციის განვითარების გეგმასთან (KVCDP) ერთად ღუშეთის მუნიციპალიტეტს ასევე წარედგინა ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა. ღუშეთის მუნიციპალიტეტმა განიხილა ორივე დოკუმენტი და დაადასტურა, რომ არ აქვს შენიშვნები. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, სავარაუდოდ, დაასრულებს განხილვის პროცესს დადგენილ ვადაში.</p> <p>შესაბამება განრიგს. ხადის ხეობის კონცეფციის განვითარების გეგმა (KVCDP) შემუშავებულია გარემოზე სტრატეგიული შემოქმედების შეფასებისა და პრიორიტეტული საინვესტიციო პროგრამის პროექტთან ერთად.</p> <p>ამ დოკუმენტების პროექტებთან დაკავშირებით გაიმართა კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასა და სამოქალაქო სექტორთან. ხადის ხეობის განვითარების გეგმის (მათ შორის მიწათსარგებლობის რეგულაციების) მომზადების ფორმალური პროცესის ფარგლებში ოქტომბერში იგეგმება დამატებითი კონსულტაციები. გეგმა დასამტკიცებლად გადაეგზავნება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დადგენილ ვადაში.</p>

20. **მიგნებები.** შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან განიხილა ხადის ხეობის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის (HCRP) საკითხი და მიიღო ინფორმაცია, რომ პროექტი ამჟამად განიხილება დამტკიცების წინ. ADB-ის პროექტის ჯგუფის ინფორმაციით, გეგმა (HCRP) მოიცავს კულტურული ლანდშაფტის შეფასებას და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გეოსივრცულ ინვენტარიზაციას. ამასთან, ADB-ის პროექტის ჯგუფის ინფორმაციით, NAHCP

(სავარაუდოდ, იგულისხმება HCRP - ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, მთარგმნ. მუნიშვნა) განხილვის პროცესშია და დამტკიცდება დროულად გეგმის გასაჯაროების დროის - 2023 წლის დეკემბრისთვის.

21. ხადის ხეობის განვითარების გეგმასთან (KVDP) დაკავშირებით, ADB-ის პროექტის ჯგუფმა შესაბამისობის შემსწავლელ ჯგუფს (CRP) მიაწოდა ინფორმაცია სხვადასხვა განხორციელებულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა იმის უზრუნველყოფას, რომ ხადის ხეობის განვითარების გეგმა (KVDP) ეფუძნებოდა ხადის ხეობის ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმას (HCRP). გარდა ამისა, ADB-ის პროექტის ჯგუფმა დასძინა, რომ ხადის ხეობის განვითარების გეგმის (KVDP) მომზადებაში ჩართული რამდენიმე კონსულტანტი ასევე იყო იმ გუნდის ნაწილი, რომელმაც მოამზადა ხადის ხეობის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა (HCRP). რაც შეეხება თავად ხადის ხეობის განვითარების გეგმას (KVDP), შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) დამატებითი განხილვა განახორციელა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან (SUDA) (იხილეთ მენუჯმენტის სამოქმედო გეგმა 1).

22. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** CRP-მა დაადგინა, რომ ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმასთან (HCRP) დაკავშირებით ზემოხსენებული პროცესი შეესაბამება განრიგს. ხადის ხეობის განვითარების გეგმის (KVDP) დასრულების შემდეგ, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) შეამოწმებს, ეფუძნება თუ არა დოკუმენტი ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმას (HCRP) და ითვალისწინებს თუ არა იგი ზომებს კულტურულ ლანდშაფტზე პროექტის ზემოქმედების შესამცირებლად. ხადის ხეობის განვითარების გეგმასთან (KVDP) დაკავშირებით, სივრცით და ქალაქმშენებლობით განვითარების სააგენტოსთან (SUDA) განხილვის საფუძველზე, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ არსებობს დაგვიანების რისკი (იხ. ხელმძღვანელობის სამოქმედო გეგმა 1).

3. გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 2 – მიწის დროებითი დაკავება

No.	ADB-ის შეუსაბამობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
2	<p>სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება</p> <p>მიწის დროებითი დაკავება სამუშაოების კონტრაქტორების მიერ</p>	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) მოამზადებს სახელმძღვანელო მითითებებს სამუშაოების კონტრაქტორებისთვის მიწის დროებითი დაკავების კომპლექსური შეფასების შესახებ და (ii) დანერგავს ღონისძიებებს მითითებების განხორციელებისა და ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით.</p> <p>სახელმძღვანელო მითითებები შემუშავდება ADB-ის SPS-ის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს ფასის განსაზღვრის, მოლაპარაკებების წარმოების, კომპენსაციის გაცემისა და ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურებს.</p> <p>განხორციელების ვადა: 2023 წლის სექტემბერი</p>	<p>შესრულებული. მიწის დროებითი დაკავების მითითებები შემუშავდა და წარედგინა CRP-ს. სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტები (UBM) ჩაატარებენ სასწავლო სესიებს ამ სახელმძღვანელო მითითებების გამოყენების შესახებ და მათი განხორციელების მონიტორინგი ყოველკვირეულად განხორციელდება, უსაფრთხოების საერთო მონიტორინგის ფარგლებში.</p>

23. **მიგნებები.** შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) განიხილა სახელმძღვანელო მითითებები და დაადგინა, რომ ეს არის დეტალური დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ADB-ის საგარანტიო პოლიტიკის (SPS) მოთხოვნები და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა მიწის დროებითი დაკავებასთან დაკავშირებით. დოკუმენტში ასევე შეტანილი იყო ლიზინგის სრული პროცედურული მოთხოვნები (მიწის გადაცემა მიწის მესაკუთრისთვის), ფასის განსაზღვრა, მოლაპარაკებები, კომპენსირება და ხელშეკრულებების გაფორმება. ასევე გათვალისწინებულია მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის დებულებები.

24. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ ტერიტორიაზე შესვლამდე და ტერიტორიიდან გასვლამდე განსახორციელებელი კომპლექსური შემოწმების ფარგლებში უნდა მოხდეს მიწისა და მის ირგვლივ არსებული ტერიტორიების დოკუმენტურად ასახვა ფოტო და ვიდეოგადაღების მეშვეობით. ასევე უნდა განხორციელდეს კვლევა ტერიტორიიდან გასვლისას მიწით სარგებლობის შემდეგ არსებული მდგომარეობის შესადარებლად. ამ პროცესის დაწყებისას კონტრაქტორმა მიწის მესაკუთრესთან უნდა შეათანხმოს მიწის ნაკვეთის მდგომარეობა მესაკუთრისათვის გადაცემისას და ამ პროცესს უნდა ესწრებოდეს ზედამხედველობის კონსულტანტი. თუ მიწა პირვანდელ მდგომარეობას უნდა დაუბრუნდეს, მაშინ ეს უნდა შეესაბამებოდეს სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმით (SEMP) გათვალისწინებულ რეკულტივაციის გეგმას. სახელმძღვანელო მითითებები შეეხება როგორც კერძო საკუთრებაში არსებულ მიწას, ასევე სახელმწიფო მიწებს და კონტრაქტორს ავალდებულებს აკრედიტებული დამოუკიდებელი შემფასებლების დაქირავებას იმ საბაზრო განაკვეთის დასადგენად, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს იჯარის ოდენობა კერძო მიწებზე.

იგი ასევე ითვალისწინებს სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მოწვევას მიწაზე ზიანის შესაფასებლად და შესაბამისი კომპენსაციის დასადგენად. მიწის მესაკუთრესა და კონტრაქტორს შორის კომპენსაციის ოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის საკითხის გადასაწყვეტად, სახელმძღვანელო მითითებები მაგალითის სახით იძლევა კონკრეტული შემთხვევის შესწავლას.

25. მონიტორინგისა და ანგარიშგების შესახებ სახელმძღვანელო მითითებები ადგენს, რომ ზედამხედველობის კონსულტანტის საგარანტიო მექანიზმების ჯგუფმა საგულდაგულოდ უნდა შეამოწმოს და დააზუსტოს კონტრაქტორის შესაბამისობა ადგილზე რეგულარული ვიზიტების, მოწოდებული მონაცემების განხილვისა და მიწის მესაკუთრეებთან რეგულარული კონსულტაციების მეშვეობით. კვირაში ერთხელ შემოწმდება ნებისმიერი შეუსაბამობის გამოსასწორებელი მოქმედების განხორციელება. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყურადღება გამახვილდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გადაუჭრელ საკითხებზე. ზედამხედველობის კონსულტანტმა შეიძლება განიხილოს შუალედური ანგარიშსწორების სერტიფიკატის შეჩერება, თუ კონტრაქტორი განაგრძობს ზედამხედველობის კონსულტანტის ინსტრუქციების უგულებელყოფას და არ გამოსასწორებს შეუსაბამობას.

26. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ საჭიროა მესამე მხარის (ზედამხედველობის კონსულტანტი) ჩართვა საიჯარო ხელშეკრულებიდან გასვლის ფაზაში მესაკუთრისთვის მიწის შეუფერხებლად გადაცემის უზრუნველსაყოფად. ADB პროექტის ჯგუფი დაეთანხმა ამ მოსაზრებას.

27. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელო მითითებები სულ ახლახან, 2023 წლის სექტემბერში დამტკიცდა და გამოქვეყნდა. ზედამხედველობის კონსულტანტმა კონტრაქტორების სწავლება 2023 წლის 25 ოქტომბერს გამართა. მისიის დროს შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) შეიტყო, რომ პროექტისთვის არ აშენდება დამატებითი დროებითი ობიექტები, მათ შორის გუდაურის ახალი მისასვლელი გზა. ამის გათვალისწინებით, სახელმძღვანელო მითითებები გამოსადეგი იქნება მხოლოდ პროექტის ყველა არსებული საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის ეტაპზე. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) დადებითად აფასებს ADB-ის პროექტის გუნდის მიერ გაზიარებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ახლა, სახელმძღვანელო მითითებები გამოყენებული იქნება ADB-ის ყველა პროექტში, რომელიც საქართველოში ხორციელდება და ითვალისწინებს მიწის დროებით დაკავებას.

28. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** ჯგუფი ადასტურებს, რომ სახელმძღვანელო მითითებების პროექტი შემუშავებულია. თუმცა, ვინაიდან, სახელმძღვანელო მითითებების დანერგვამდე ყველა მიწის ნაკვეთის დროებით დაკავება პროექტთან დაკავშირებით უკვე განხორციელებულია, მითითებების დანერგვისა და ეფექტურობის შეფასება მხოლოდ არსებული საიჯარო ხელშეკრულებების დასრულებისას არის შესაძლებელი.

4. გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 3 – შემოსავლისა და საარსებო წყაროების აღდგენა

No.	ADB-ის შეუსაბამობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
3	<p>იძულებითი განსახლება შემოსავლისა და საარსებო წყაროების აღდგენა</p>	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) მოამზადებს საარსებო წყაროების აღდგენის დროში განსაზღვრულ გეგმას თემის კონსულტაციებისა და თემის საჭიროებების შეფასების საფუძველზე, გამოაქვეყნებს მას პროექტის ვებგვერდზე და (ii) ინფორმაციას საარსებო წყაროს აღდგენის უფლებების შესახებ გადასცემს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადამიანებს.</p> <p>საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა ინტეგრირებული იქნება LAR გეგმებში და მასში გათვალისწინებული იქნება არაფულადი დახმარების დებულებები შემოსავლისა და საარსებო წყაროს აღდგენისთვის. გეგმა ორიენტირებული იქნება LAR-ის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ყველა ადამიანზე. ამასთან, იგი ხელმისაწვდომი იქნება არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ადამიანებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე.</p> <p>განხორციელების ვადა: 2023 წლის ივნისი</p>	<p>შესრულებული. საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე (სათაურით „ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერუების (ქვეშეთი-კობი) საავტომობილო გზის პროექტის საარსებო წყაროების აღდგენის გეგმა“).</p> <p>6 საჭიროების შეფასების / 8 საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა პოტენციურ ბენეფიციარებთან, რომლის დროსაც საარსებო წყაროს აღდგენის უფლების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა პირდაპირი და არაპირდაპირ ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადამიანებს საპროექტო ტერიტორიაზე (იხ. შეხვედრების ოქმები).</p> <p>საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა (LRP) პროექტის LAR-ის განუყოფელ ნაწილად იქცა.</p>

No.	ADB-ის შესაბამისი დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
		<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი ხელს შეუწყობს არაფულადი დახმარების გაწევას შემოსავლის ან საარსებო წყაროს აღდგენის ან გაუმჯობესების მიზნით, მიზნობრივი და პრაქტიკული სასწავლო სესიებისა და სხვა შესაბამისი ჩარევების სახით.</p> <p>ეს დახმარება გაუმჯობესებს ნატურალურ მეურნეობას და სასურსათო უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროდუქციის მარკეტინგს, რათა ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილმა ადამიანებმა გააუმჯობესონ, ან, თუნდაც, განსახლების წინა დონემდე აღადგინონ შემოსავლის პოტენციალი, წარმოების დონე და ცხოვრების დონე.</p> <p>განხორციელების ვადა: 2023 წლის დეკემბერი</p>	<p>შესაბამება განრიგს. როგორც საარსებო წყაროს აღდგენის გეგმის ნაწილი, ADB-მა ჩართო სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ხადის ხეობის ადგილობრივი თემების დასახმარებლად ბოსტნულის მოყვანის, მერძეულობისა და მეფუტკრეობის განვითარებაში. ამ დროისთვის 15 სწავლება ჩატარდა.</p> <p>დაახლოებით 99 მერძევე ფერმერმა, მეფუტკრემ, ბოსტნულის მწარმოებელმა და რძის მეურნეობაში ჩართვის მსურველმა ხადის ხეობიდან მიიღო მონაწილეობა FAO-ს მიერ ორგანიზებულ ფერმერთა სავსელ სწავლებებში სოფელ ქვეშეთში, ჯაღმიანში, არხვეთსა და ბენიან-ბეგონში (ხადის ხეობა). (წყარო: FAO 1-ელი სწავლების ანგარიში).</p> <p>პროგრესის ანგარიშები გამოქვეყნდება პროექტის ვებგვერდზე.</p>

29. **მიგნებები.** შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) აღმოაჩინა, რომ საარსებო წყაროების აღდგენის გეგმის (LRP) მომზადების მიდგომა და მეთოდოლოგია მოიცავდა რამდენიმე მცირე ჯგუფურ შეხვედრას, ფოკუს ჯგუფების დისკუსიებს (FGD) და ინდივიდუალურ ინტერვიუებს, რომლებიც 2021-2023 წლებში ერთობლივად ჩატარეს ADB-მ და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO). იგი ასევე დაეყრდნო 2021 წელს პროექტისთვის თემის საჭიროებების შეფასების (CNA) მომზადების პროცესში კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევებს. აღნიშნული კონსულტაციებისა და თემის საჭიროებების შეფასების (CNA) საფუძველზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოამზადა და დაასრულა საარსებო წყაროების აღდგენის გეგმა (LRP), რომელიც, ფულად კომპენსაციასთან ერთად, დამატებით მექანიზმს წარმოადგენს პროექტის უარყოფითი ზემოქმედების კიდევ უფრო შემცირების, სისუსტეების აღმოფხვრისა და ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ადამიანების საარსებო წყაროების მხარდაჭერის მიზნით.

30. დამატებითი არაფულადი დახმარება მოიცავს დასაქმების შესაძლებლობებს, სწავლებას ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების კვალიფიკაციის ასამაღლებლად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, ბიზნესის, ფინანსური მართვისა და ტურიზმის, აგრეთვე მიწიდან მიღებული პროდუქციის გაუმჯობესების მიმართულებით. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირები ასევე ჩაერთვიან ტურიზმის ინდუსტრიის, კოოპერატივებისა და სათემო ჯგუფების საქმიანობისა და სხვა ბიზნეს შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროგრამებში. ამ მიზნების მისაღწევად, საარსებო წყაროების აღდგენის გეგმა (LRP), რომელიც ორიენტირებულია საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრებ ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადამიანებზე, ითვალისწინებს ორ ძირითად მიმართულებას: სოფლის მეურნეობის დახმარების

პროგრამას და უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების პროგრამას. შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) აღნიშნა, რომ ამ პროგრამებით გათვალისწინებული დეტალური აქტივობები, პასუხისმგებელი მხარეები, სავარაუდო ვადები, როდესაც აღნიშნული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს, ასევე მოცემულია საარსებო წყაროების აღდგენის გეგმაში (LRP).

31. რაც შეეხება იძულებითი განსახლების საგარანტიო მოთხოვნებს, შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) განიხილა შემდეგი დებულებები პროგრესის ანგარიშთან მიმართებით, აღნიშნული მოთხოვნების შესრულების შესამოწმებლად:

მუხ. No.	საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი დებულებები იძულებითი განსახლებასთან დაკავშირებით	შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის შენიშვნები
12	(i) ეკონომიკურად გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ფიზიკურად გადაადგილებულები, მსესხებელმა/დამკვეთმა დაუყოვნებლივ უნდა აანაზღაუროს შემოსავლის ან საარსებო წყაროს დაკარგვა ჩანაცვლების სრული ღირებულებით. მსესხებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს დახმარება, როგორცაა, მაგალითად საკრედიტო მექანიზმები, სწავლებისა და დასაქმების შესაძლებლობები, რათა მათ შეძლონ გაუმჯობესონ, ან თუნდაც გადაადგილებამდე არსებულ დონემდე აღადგინონ შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, წარმოების დონე და ცხოვრების დონე	საარსებო წყაროების აღდგენის გეგმაში (LRP) ითვალისწინებს არაფულადი დახმარების გაწევას ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ყველა ადამიანისთვის, ფულად კომპენსაციასთან ერთად, რომელიც გაიცა მიწის, მოსავლის, შენობებისა და სხვა აქტივების დაკარგვის გამო.
21	მსესხებელმა განსახლების გეგმაში უნდა შეიტანოს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირთა შემოსავლის აღდგენისა და საარსებო წყაროს გაუმჯობესების დეტალური ღონისძიებები. (აქცენტი დამატებულია)	საარსებო წყაროების აღდგენის გეგმაში (LRP) შეტანილია შემოსავლის აღდგენისა და საარსებო წყაროს გაუმჯობესების ღონისძიებები, რაც ითვლება პროექტის მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP) განუყოფელ ნაწილად.

წყარო: [ADB-ის საგარანტიო პოლიტიკა \(იძულებითი განსახლება\)](#) და შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი.

32. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ საარსებო წყაროების აღდგენის გეგმით (LRP) ასევე განისაზღვრა პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც მხარს დაუჭერენ საავტომობილო გზების დეპარტამენტს გეგმის (LRP) განხორციელებაში. მათ შორისაა სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). გამოიყენება ამ ორგანიზაციის კარგად დამკვიდრებული ფერმერთა სავლე სკოლების მეთოდოლოგია. პროექტის ფარგლებში FAO-სთან გაფორმდა შეთანხმება რძის პროდუქტების, მარცვლოვანი კულტურებისა და მეფუტკრეობის შესახებ სწავლების რამდენიმე მოდულის ჩატარებისა და ფერმერთა სავლე სკოლების დაარსების, ასევე საარსებო წყაროების აღდგენის გეგმის (LRP) გარე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ჩაერთვება

ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში. ასევე განისაზღვრა სხვა სავარაუდო სასწავლო ორგანიზაციები.

33. საარსებო წყაროების აღდგენის გეგმა (LRP), რომელიც განიხილა და დაამტკიცა ADB-მ, პროექტის ვებგვერდზე 2023 წლის 30 ივნისს გამოქვეყნდა. ჩატარდა 8 საჯარო კონსულტაცია 6 სოფლის წარმომადგენლებისთვის (არახეთი, ქვეშეთი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, წკერე და მულერე) საარსებო წყაროების აღდგენის გეგმის (LRP) ფარგლებში აღნიშნული დამატებითი არაფულადი ანაზღაურების მიღების უფლებისა და სხვადასხვა ჩარევების მიზნების შესახებ. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებს ასევე მოუწოდეს წარედგინათ წინადადებები და გამოეთქვათ მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა ცოდნა და უნარები დაეხმარებოდა მათ საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაში¹¹. გარდა ამისა, საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა და ზედამხედველობის კონსულტანტის სოციალური განვითარების სპეციალისტმა ასევე გამართეს შეხვედრები საპროექტო ტერიტორიასთან ახლოს მცხოვრებ, მათ შორის სოციალურად დაუცველ და მძიმე ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადამიანებთან.

34. შესაბამისობის განხილვის ჯგუფმა (CRP) მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კიდევ იგეგმება საჯარო კონსულტაციების გამართვა და რომ საჯარო კონსულტაციების შემდეგი ეტაპის დასრულების შემდეგ განახლდება საარსებო წყაროების აღდგენის გეგმა (LRP) და მასში აისახება დეტალური მონიტორინგის გეგმა. საარსებო წყაროების აღდგენის გეგმა (LRP) განახლდა და გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე 2023 წლის 13 ნოემბერს¹². საავტომობილო გზების დეპარტამენტი ADB-ს წარუდგინა გეგმის (LRP) წინსვლის კვარტალურ ანგარიშებს და ისინი აისახება მონიტორინგის ნახევარწლიურ ანგარიშებში. მონიტორინგის აღნიშნული ანგარიშები გამოქვეყნდება ADB-ის, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და პროექტის ვებგვერდებზე.

35. 2023 წლის დეკემბერს განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) ადასტურებს, რომ ისინი შეესაბამება განრიგს. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილმა დაახლოებით 99 პირმა (მერძვევები, მეფუტკრეები, ბოსტნეულის მწარმოებლები და მერძვევობით დაინტერესებული ადამიანები) უკვე მიიღო მონაწილეობა FAO-ის სწავლებაში. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ სოფლებში დაარსდა ფერმერთა სავლე სკოლები (4 მერძვევობის, 2 მცენარეული კულტურებისა და 1 მეფუტკრეობისთვის).

36. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** ADB შესაბამისობაშია 2023 წლის ივნისისთვის შესასრულებელ ღონისძიებებთან მიმართებით. მათ შორისაა საარსებო წყაროების აღდგენის დროში გაწერილი გეგმის მომზადება, მისი ასახვა პროექტის მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმაში (LARP), გამოქვეყნება პროექტის ვებგვერდზე, საჯარო კონსულტაციების განხორციელება და ინფორმაციის მიწოდება ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ადამიანებისთვის ამ დამატებითი უფლებების შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს საარსებო წყაროების აღდგენის გეგმით (LRP) გათვალისწინებული საარსებო წყაროების აღდგენისა და გაუმჯობესების ზოგიერთი ფაქტობრივი არაფულადი ღონისძიება, რომელიც 2023 წლის დეკემბერში უნდა განხორციელდეს.

¹¹ სხვადასხვა სოფლის (არახეთი, ქვეშეთი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, წკერე და მულერე) მოსახლეობასთან 2023 წლის 1 ივლისს გამართული საჯარო კონსულტაციის ოქმი.

¹² საქართველოს მთავრობა. 2023. [Northჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) საავტომობილო გზის პროექტის საარსებო წყაროების აღდგენის გეგმა \(განახლებული ვერსია\), 2023 წლის ნოემბერი](#), ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის საჯარო ინფორმაციის ვებგვერდი. თბილისი

5. გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 4 –
ADB-ის მონიტორინგი და ზედამხედველობა

No.	ADB-ის შესაბამისობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
4	<p>მონიტორინგი და ზედამხედველობა</p> <p>ADB-ის მონიტორინგი და ზედამხედველობა</p>	<p>ADB (i) შეავსებს არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების კონტროლის ინსტრუმენტს საკითხების გადაწყვეტის პროცედურებით მათალი რისკის მქონე და გრძელვადიანი საკითხების მოსაგვარებლად და (ii) დანერგავს სისტემას ამ გადაწყვეტის პროცედურების განსახორციელებლად და მათი ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით.</p> <p>პროცედურები შემუშავებული იქნება ADB-ის SPS-ის 58(iv) პუნქტის შესაბამისად და მოითხოვს დროში გაწერილი მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის მომზადებას, რათა პროექტი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი იმ გრძელვადიან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ იქნა გადაწყვეტილი.</p> <p>განხორციელების ვადა: 2023 წლის ივნისი</p>	<p>შესრულებული. მომზადდა ანგარიში და წარედგინა შესაბამისობის შემსწავლელ ჯგუფს (CRP), რომელიც აღწერს მონიტორინგისა და ზედამხედველობის სისტემებს გარანტიებთან დაკავშირებული საჩივრების თვალყურის დევნებისა და გადაწყვეტის მიზნით.</p>

შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) აღმოაჩინა, რომ ყოველკვირეული მონიტორინგი ასევე ინტეგრირებულია ნახევარწლიური მონიტორინგის ანგარიშების მომზადების პროცესთან.

41. რაც შეეხება ADB-ის საგარანტიო პოლიტიკის (SPS) 58-ე მუხლს, ჯგუფმა (CRP) შეისწავლა თითოეული მოთხოვნა წინსვლის ანგარიშთან მიმართებით, აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, რაც წარმოდგენილია ქვემოთ:

No.	ADB-ის საგარანტიო პოლიტიკა 58-ე მუხლის მოთხოვნები	შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის მენიშვნები
(i)	უარყოფითი გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედების მქონე პროექტების შემთხვევაში უბანზე პერიოდული ვიზიტების განხორციელება;	ADB-მ დანერგა ყოველკვირეული მონიტორინგის პროცედურა.
(ii)	საზედამხედველო მისიების განხორციელება დეტალური მიმოხილვით ADB-ის საგარანტიო პოლიტიკის სპეციალისტების/ოფიცრების ან კონსულტანტების მიერ მნიშვნელოვანი სოციალური ან გარემოზე ზემოქმედების მქონე პროექტების შემთხვევაში;	საზედამხედველო მისიები რეგულარულად ხორციელდება.
(iii)	მსესხებლების/დამკვეთების მიერ წარდგენილი პერიოდული მონიტორინგის ანგარიშების მიმოხილვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ უარყოფითი ზემოქმედება და რისკები შემცირებულია გეგმისა და ADB-თან შეთანხმების შესაბამისად;	პერიოდული მონიტორინგის ანგარიშები მზადდება. აქედან ძირითადია ყოველკვირეული გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ანგარიშები და მათ ყოველკვირეულ მიმოხილვას ერთობლივად ახორციელებენ ADB-ის პროექტის გუნდი, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ზედამხედველობის კონსულტანტი და შესაბამისი კონტრაქტორები.
(iv)	მსესხებლებთან/დამკვეთებთან მუშაობა, მათ მიერ საგარანტიო პოლიტიკით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შეძლებისდაგვარად გამოსასწორებლად, როგორც ეს გათვალისწინებულია სამართლებრივ ხელშეკრულებებში და გამოსასწორებელი ღონისძიებების გამოყენება სათანადო შესაბამისობის აღსადგენად; და	ყოველკვირეული გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის საშუალებით ხორციელდება შემდგომი მონიტორინგის მექანიზმი საკითხების გადაჭრისა და შესაბამისობის დროულად უზრუნველსაყოფად (მთავარი ყოველკვირეული ანგარიში და დანართი 5)

No.	ADB-ის საგარანტიო პოლიტიკა 58-ე მუხლის მოთხოვნები	შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის შენიშვნები
(v)	პროექტის დასრულების ანგარიშის მომზადება, რომელიც შეაფასებს მიღწეულია თუ არა საგარანტიო გეგმების მიზნები და სასურველი შედეგები, არსებული პირობებისა და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით.	პროექტის განხორციელება მიმდინარეობს, შესაბამისად ეს ჯერ არ არის შესასრულებელი.

წყარო: [ADB-ის საგარანტიო პოლიტიკა](#) მუხ. 58 და შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი.

42. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ წლის ივლის-დეკემბრის ახალი გადაწყვეტის გზების პროცედურებისა და მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის განხორციელების შემაჯამებელი ანგარიში ჯერ არ არის შესასრულებელი.

43. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია, რადგან ADB-ის მონიტორინგი და ზედამხედველობა არსებითად გაუმჯობესდა და ყოვლისმომცველი გახდა. თუმცა, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილი იქნება გრძელვადიანი და მაღალრისკიანი საკითხები პირდაპირ აისახოს ნახევარწლიური გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშისა (EMR) და სოციალური მონიტორინგის ანგარიშების (SMRs) შემდგომ ვერსიებში.

B. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა

1. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 1 – პროექტით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება

No.	ADB-ის შესაბამისობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
1	გარემოზე ზემოქმედება პროექტით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შემცირება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს საწყის გარემოსდაცვით შეფასებას (IEE) გუდაურის მისასვლელი გზისთვის (ზაქათკარი-სეთურების მონაკვეთი) და აქვეყნებს მას პროექტისა და ADB-ის ვებგვერდებზე. IEE მოიცავს გამოწვეული ზემოქმედების შეფასებას და შემარბილებელ ღონისძიებებს პროექტის ფარგლებში გუდაურისა და ხადის ხეობის დაკავშირებასთან მიმართებით. განხორციელების ვადა: 2023 წლის ივნისი	შესრულებული. საწყისი გარემოსდაცვითი შეფასება (IEE) გუდაურის მისასვლელი გზისთვის გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე (დასახელებით „გუდაურამდე მისასვლელი გზა - ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის პროექტი“).

No.	ADB-ის შესაბამისობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
		<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ხადის ხეობის განვითარების გეგმის პროექტს, რომელიც წარდგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში დასამტკიცებლად.</p> <p>ხადის ხეობის განვითარების გეგმა მოიცავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მიგნებებს, რომლებიც ითვალისწინებს პროექტის გამოწვეულ ზემოქმედებას.</p> <p>განხორციელების ვადა: 2023 წლის დეკემბერი</p>	<p>შესაბამება განრიგს. ხადის ხეობის კონცეფციის განვითარების გეგმა (KVCDP) შემუშავებულია გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასებისა და პრიორიტეტული საინვესტიციო პროგრამის პროექტთან ერთად. ამ დოკუმენტების პროექტებთან დაკავშირებით გაიმართა კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასა და სამოქალაქო სექტორთან. ხადის ხეობის განვითარების გეგმის (მათ შორის მიწათსარგებლობის რეგულაციები) მომზადების ფორმალური პროცესის ფარგლებში ოქტომბერში იგეგმება დამატებითი კონსულტაციები. გეგმა დასამტკიცებლად გადაეგზავნება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დადგინდ ვადაში</p>

44. **მიგნებები.** შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოამზადა საწყისი გარემოსდაცვითი შეფასება (IEE) გუდაურამდე მისასვლელი გზისთვის (ზაქათკარი-სეთურების მონაკვეთი) და 2023 წლის მარტში გამოაქვეყნა იგი პროექტისა¹⁴ და ADB-ის ვებგვერდზე.¹⁵ ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ ADB-ის პროექტის გუნდმა აღნიშნული ქმედება ვადაზე ადრე შეასრულა.

45. ხადის ხეობის განვითარების გეგმასთან (KVDP) დაკავშირებით, შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) გამართა შეხვედრები ADB-ის პროექტის გუნდთან და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ახლად შექმნილ სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან (SUDA). შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) გაარკვია, რომ წარმოდგენილია კონცეფციის გეგმის პროექტი და ჯერჯერობით ჩატარებულია ხუთი კონსულტაცია დაინტერესებულ მხარეებთან. ADB-ის პროექტის ჯგუფმა ასევე აღნიშნა, რომ ხადის ხეობის განვითარების გეგმის (KVDP) პროექტი პარალელურად მზადდება და უკვე დასრულების ეტაპზეა. დაინტერესებული მხარეების მხრიდან მიღებული შენიშვნები

¹⁴ საქართველოს მთავრობა. 2023. [გუდაურამდე მისასვლელი გზის მშენებლობის პროექტის საწყისი გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში მომზადებულია ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის \(ქვეშეთი-კობის\) გზის პროექტის ფარგლებში](#). თბილისი.

¹⁵ საქართველოს მთავრობა. 2023. [ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) საავტომობილო გზის პროექტი: გუდაურამდე მისასვლელი გზის საწყისი გარემოსდაცვითი შეფასება](#) თბილისი.

სათანადოდ აისახება ხადის ხეობის განვითარების გეგმის (KVDP) პროექტში, რაც, სავარაუდოდ, 2023 წლის დეკემბრისთვის წარედგინება სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს (SUDA)/ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან (SUDA) განხილვისას გაირკვა, რომ ხადის ხეობის განვითარების პროექტმა (KVDP) დასრულებამდე უნდა გაიაროს იგივე პროცედურა, რომელიც მიღებულია კონცეფციის გეგმისთვის. ეს მოიცავს კონსულტაციებს სხვა შესაბამის სამინისტროებთან და თემებთან. სააგენტომ (SUDA) წარმოადგინა ინფორმაცია, რომ აღნიშნული პროცედურა, სავარაუდოდ, 2024 წლის მაისამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც მალევე მოითხოვენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასტურს.

46. შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) ხადის ხეობის განვითარების გეგმასთან (KVDP) დაკავშირებით ასევე გამართა დისკუსია საზოგადოების შერჩეულ წარმომადგენლებთან და დადებითი გამოხმაურება მიიღო. თემის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება კონცეფციის გეგმის ძირითად პუნქტებს, რომლებიც გაზიარებულია. საზოგადოების სხვა წარმომადგენლები მოუთმენლად ელიან მონაწილეობას დაინტერესებულ მხარეთა მომავალ სამუშაო შეხვედრაზე და თვალს ადევნებენ მიღწეულ წინსვლას.

47. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) ადასტურებს, რომ ეს ქმედება შეესაბამება განრიგს და დადებითად აფასებს ADB-ის პროექტის ჯგუფის მიერ ხადის ხეობის განვითარების გეგმასთან (KVDP) დაკავშირებით გაწეულ შემდგომი მონიტორინგის სამუშაოებს. თუმცა, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ ხადის ხეობის განვითარების გეგმის (KVDP) პროექტის დასრულებასა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში დასამტკიცებლად წარდგენას, სავარაუდოდ, მეტი დრო დასჭირდება, სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს (SUDA) ინფორმაციით არსებული პროცედურის შესაბამისად. ასევე, როგორც კი გეგმა (KVDP) დასრულდება, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) გადაამოწმებს, შეიცავს თუ არა დოკუმენტი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დასკვნებს, რომლებიც ეხება პროექტით გამოწვეულ ზემოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს წინსვლას შესაბამისობის მიმართულებით, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ არსებობს შეფერხების სავარაუდო რისკი.

2. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 2 – ფიზიკური კულტურული რესურსები - ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება

#	ADB-ის შესაბამისი დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
2.	<p>ფიზიკური კულტურული რესურსები (PCR)</p> <p>ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება</p>	<p>სავტომობილო გზების დეპარტამენტი სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტის მეშვეობით დაამტკიცებს კულტურული მემკვიდრეობის მართვის განახლებულ გეგმებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს 1-ელი და მე-2 ლოტის კონტრაქტორების მიერ.</p> <p>ეს გეგმები მომზადდება ADB-ის SPS-ის მოთხოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციების შესაბამისად (როგორც მითითებულია მეორე შუალედურ ანგარიშში და კულტურული მემკვიდრეობის ზოგად სამოქმედო გეგმაში). გეგმები მოიცავს პროექტის ყველა ინფრასტრუქტურის აცილებისა და შემცირების ღონისძიებებს PCR-ის ფიზიკურ და ვიზუალურ ბუფერულ ზონებში, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონით და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ აფეთქების ადგილიდან 65-მეტრიან ბუფერში.</p> <p>განხორციელების ვადა: 2023 წლის სექტემბერი</p>	<p>შესრულებული. კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმები 1-ელი და მე-2 ლოტისთვის განახლებულია, დამტკიცებულია და წარდგენილია შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფისთვის (CRP).</p>

48. 1-ელი და მე-2 ლოტის განახლებული კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმები (CHMPs) დამტკიცებულია ზედამხედველობის კონსულტანტის მიერ შესაბამის ვადაში - 2023 წლის სექტემბრისთვის. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) ადასტურებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმები (CHMPs) ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP) რეკომენდაციებს. ეს რეკომენდაციები აღწერს ჩამოყალიბებული იყო მის მეორე შუალედურ ანგარიშსა და კულტურული მემკვიდრეობის გენერალურ სამოქმედო გეგმაში (CHGAP), ხოლო შემდეგ აისახა კულტურული მემკვიდრეობის გენერალურ სამოქმედო საბოლოო გეგმაში (CHGAP).

49. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) ასევე აღნიშნავს შემდეგ კონკრეტულ საკითხებს:

- კერძოდ, 1-ელი ლოტის კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა (CHMP) ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშებში განსაზღვრულ ყველა, 21-ვე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს და შემდგომში განსაზღვრულ 4 დამატებით ობიექტს, ხოლო მე-2 ლოტის გეგმაში (CHMP) ასახულია 49 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი სააგენტოს

ანგარიშებში განსაზღვრული 83 ობიექტიდან. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და ADB-ის პროექტის ჯგუფმა განმარტა, რომ მხოლოდ 49 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი იყო 300 მ-იან ბუფერულ ზონაში და, შესაბამისად, დანარჩენი ობიექტები არ იქნა გათვალისწინებული.

- კულტურული მემკვიდრეობის მართვის ორივე გეგმა (CHMPs) მოიცავს თავიდან აცილებისა და შერბილების ზომებს ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურისთვის ფიზიკურ და ვიზუალურ ბუფერულ ზონებში. გარდა ამისა, გეგმა (CHMP) ასახავს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კონტრაქტორების (და მათი კონკრეტული თანამშრომლების), ასევე ზედამხედველობის კონსულტანტის (და მისი კონკრეტული თანამშრომლების) როლებსა და პასუხისმგებლობებს (ნაწილი 3)¹⁶ და დეტალურად განსაზღვრავს მათ ამოცანებს მართვის აღნიშნული ღონისძიებების ჩათვლით.
- კულტურული მემკვიდრეობის მართვის ორივე გეგმა (CHMPs) მოიცავს შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებს (ნაწილი 2), ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ამოცანები შედის განსაზღვრულ როლებსა და პასუხისმგებლობებში (ნაწილი 3).
- ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობის ყველა ობიექტი მდებარეობა სცდება აფეთქების ადგილიდან 100 მეტრის რადიუსს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 65-მ-იანი ბუფერული ზონის მოთხოვნა პირდაპირ არ არის მითითებული კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმებში (CHMPs).

50. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** ADB სრულად შეესაბამება მოთხოვნილ ქმედებებს. იმის გამო, რომ კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმები (CHMPs) სულ ახლახან გადაიხედა, მათი განხორციელების ეფექტურობა მხოლოდ გარკვეული დროის შედეგ დამტკიცდება. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ გეგმის (CHMP) განხორციელების ეფექტურობა ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) მონიტორინგისა და თვალყურის დევნების სისტემის განხილვასთან ერთად განხორციელდება მისი შემდგომი მონიტორინგის დროს.

3. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 3 – ფიზიკური კულტურული რესურსების უბნებზე ზედამხედველობა

¹⁶ საქართველოს მთავრობა. 2023. [ქვეშეთი კობის საავტომობილო გზის პროექტი - საჯარო ინფორმაციის ვებგვერდი: კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა](#) 1-ელი ლოტის გეგმის მუხლი 6.2 და მე-2 ლოტის გეგმის მუხლი 6. თბილისი

No.	ADB-ის შესაბამისობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
3	ფიზიკური კულტურული რესურსები (PCR) ფიზიკური კულტურული რესურსების უბნებზე ზედამხედველობა	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი შეიმუშავებს და დანერგავს სისტემას, რათა თვალყური ადევნოს ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) უბნების რეგულარულ ინსპექტირებას საპროექტო გზის ფიზიკურ და ვიზუალურ დამცავ (ბუფერულ) ზონებში.</p> <p>სისტემა შესაბამისობაში იქნება მოყვანილი კონტრაქტორების კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმებთან და ADB-ის საგარანტიო პოლიტიკის (SPS) 57-ე მუხლთან.</p>	<p>შესრულებული. ფიზიკური კულტურული რესურსების თვალყურის დევნების სისტემა დანერგილია და მოქმედია. ანგარიში, რომელიც აღწერს ამ სისტემის მონიტორინგის კომპონენტებსა და ძირითად მახასიათებლებს მომზადებულია და წარდგენილია შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფისთვის (CRP).</p>

51. **მიგნებები.** შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) განიხილა ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) მონიტორინგისა და თვალყურის მიდევნების სისტემა, დოკუმენტურად ასახა მონიტორინგის კომპონენტები და ძირითადი მახასიათებლები. ჯგუფი (CRP) აღნიშნავს შემდეგს:

- სისტემა ეფუძნება კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს კვლევას, და, შესაბამისად, მოიცავს ავტორიზებული ორგანიზაციის მოსაზრებას რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ამასთან, პროექტი მუშაობს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რათა უზრუნველყოს ამ კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია ეროვნული შესაბამისობის მოთხოვნების დაცვით.
- სისტემა მოიცავს ონლაინ რუკას (<https://arcg.is/1CS0bj0>), რომელიც ინოვაციური ინსტრუმენტია პროექტის გუნდისა და დაინტერესებული მხარეებისთვის. ვინაიდან სისტემა ახლახან შეიქმნა, თითოეულ კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებით რუკა იძლევა დამატებითი ინფორმაციის ბმულებს, მაგრამ ჯერჯერობით არ იძლევა მონიტორინგის ანგარიშებს.

52. დისკუსიების დროს აღინიშნა, რომ ორი კონტრაქტორი და ზედამხედველობის კონსულტანტი მონიტორინგს უწევენ კულტურული მემკვიდრეობის მართვის შესაბამის გეგმებში (CHMPs) შეტანილ კულტურული მემკვიდრეობის ყველა ობიექტს, რომლებიც აისახება კულტურული მემკვიდრეობის საბოლოო გენერალურ სამოქმედო გეგმაში (CHGAP) მონიტორინგისა და თვალყურის მიდევნების ამ სისტემის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ ამით გადაწყდება კონტრაქტორების კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმებთან (CHMPs) შესაბამისობის საკითხი.

53. რაც შეეხება ADB-ის საგარანტიო პოლიტიკის (SPS) 57-ე მუხლს, ჯგუფმა (CRP) შეისწავლა თითოეული მოთხოვნა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან მიმართებით და შეამოწმა ამ მოთხოვნებთან შესაბამისობა შემდეგნაირად:

No.	ADB-ის საგარანტიო პოლიტიკა 57-ე მუხლის მოთხოვნები	შენიშვნები
(i)	პროცედურების განსაზღვრა და წარმოება საგარანტიო გეგმების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით	მონიტორინგისა და თვალყურის მიდევნების სისტემა მოიცავს პროცედურებს, რაც დაკავშირებულია კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმებთან (CHMPs).
(ii)	საგარანტიო ღონისძიებებისა და მათი მიმდინარეობის მიზნობრივ შედეგებთან შესაბამისობის შემოწმება	დამატებითი ინსტრუმენტების - თვალყურის დევნებისა და მონიტორინგის სისტემისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმების (CHMPs), განსაზღვრული პერსონალისა და NACHP-თან მჭიდრო თანამშრომლობის გამოყენების გზით დაცულია საგარანტიო ზომები და მიღწეულია წინსვლა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კონსერვაციის მიმართულებით.
(iii)	მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება და გასაჯაროება და აუცილებელი მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების გამოვლენა პერიოდული მონიტორინგის ანგარიშებში;	როგორც კონტრაქტორებს, ასევე ზედამხედველობის კონსულტანტს დოკუმენტირებული აქვს განხორციელებული ღონისძიებები, ხოლო მათი გამოქვეყნება ხორციელდება ნახევარწლიური ანგარიშების მეშვეობით.
(iv)	განხორციელებული აღნიშნული ღონისძიებების მონიტორინგი სასურველისკენ შედეგებისკენ წინსვლის უზრუნველსაყოფად	დანერგულია თვალყურის დევნებისა და მონიტორინგის სისტემა გეგმების (CHMPs) განხორციელებასთან ერთად სასურველი შედეგების მისაღებად წინსვლის უზრუნველყოფის მიზნით.
(v)	კვალიფიციური და გამოცდილი გარე ექსპერტების შენარჩუნება შესამოწმებლად	კონტრაქტორებს და ზედამხედველობის კონსულტანტს დამოუკიდებელი კვალიფიციური თანამშრომლები ჰყავთ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და მსგავსი
(vi)	ინფორმაციის მონიტორინგი მნიშვნელოვანი ზემოქმედებისა და რისკების შემცველი პროექტების	რადგან კულტურული მემკვიდრეობა ამ რეგიონის მნიშვნელოვანი საკითხია, სხვადასხვა დონეზე ხორციელდება ადეკვატური მონიტორინგი.
(vii)	დამოუკიდებელი საკონსულტაციო ჯგუფების გამოყენება პროექტის განხორციელების მონიტორინგის მიზნით უაღრესად კომპლექსური და მგრძობიარე პროექტების შემთხვევაში; და	პროექტის გუნდი კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო სპეციალისტის მხარდაჭერით მჭიდროდ თანამშრომლობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან (NAHCP).
(viii)	ADB-თან შეთანხმების შესაბამისად საგარანტიო ღონისძიებების თაობაზე პერიოდული მონიტორინგის ანგარიშების წარდგენა.	მზადდება ყოველკვირეული შიდა მონიტორინგის ანგარიშები, რომლებშიც შედის კულტურული მემკვიდრეობა და მზადდება ნახევარწლიური მონიტორინგის ანგარიშები.

წყარო: [ADB-ის საგარანტიო პოლიტიკა](#), მუხ. 57 და შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი.

54. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** ვინაიდან ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) თვალყურის მიდევნების სისტემა სულ ახლახან შეიქმნა, მისი მიზანშეწონილობა და ეფექტურობა მხოლოდ დროთა განმავლობაში დამტკიცდება. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) მონიტორინგისა და თვალყურის მიდევნების სისტემის მიმოხილვა განხორციელდება CRP-ის შემდგომი მონიტორინგის ფარგლებში. ჯგუფი (CRP) ასევე

აღნიშნავს, რომ ამის განხილვა უნდა მოხდეს კონტრაქტორის მიერ კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის (CHMP) განხორციელებასთან ერთად.

4. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 4 – თემის ხელმისაწვდომობა მიწაზე

No.	ADB-ის შეუსაბამობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
4	სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება თემის ხელმისაწვდომობა მიწაზე	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) დაამტკიცებს სოფელ ზაქათკარის მახლობლად შემოთავაზებული ორი მიწისქვეშა გადასასვლელის დეტალურ პროექტს და (ii) გადასასვლელების აშენებას დაავალებს მე-2 ლოტის კონტრაქტორს. მიწისქვეშა გადასასვლელები უზრუნველყოფს თემისათვის დიდულის პლატოს კვლავ ხელმისაწვდომობას განხორციელების ვადა: 2023 წლის სექტემბერი	შესრულებული. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაამტკიცა სოფელი ზაქათკარის მახლობლად ორი მიწისქვეშა გადასასვლელის დეტალური პროექტი და მშენებლობა 7+600კმ-ზე (UP 7.6) და კმ 7+900-ზე (UP 7.9). მშენებლობა მიმდინარეობს და სამუშაოები შემოიფარგლება არსებული აუცილებელი გზის უფლებით და არ ითვალისწინებს მიწის დამატებით შესყიდვას. ორი მიწისქვეშა გადასასვლელის მშენებლობის სოციალური კომპლექსური შეფასების ანგარიში მომზადდა და გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე (სათაურით „სოციალური კომპლექსური შეფასების ანგარიში ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის ორი მიწისქვეშა გადასასვლელის მშენებლობისთვის“).

55. **მიგნებები.** შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ ორი მიწისქვეშა გადასასვლელის დეტალური პროექტი საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2023 წლის ივლისში დაამტკიცა. ასევე მომზადდა და 2023 წლის 19 სექტემბერს პროექტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა მშენებლობის სოციალური კომპლექსური შეფასების ანგარიში.¹⁷ სავლევ ვიზიტის დროს, შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) სოფელ ზაქათკართან ახლოს შენიშნა ორი მიწისქვეშა გადასასვლელი, რომელთაგან ორივე მშენებარე იყო. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ ეს მიწისქვეშა გადასასვლელი დიდულის პლატოზე არსებულ მიწაზე წვდომის შესაძლებლობას მისცემს არა მხოლოდ პირუტყვს, არამედ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, თივის გადამზიდავ ავტომობილებსა და თემის წევრებს, რომლებიც გზის მეორე მხარეს არსებული ხეებიდან კაკალს კრეფენ. ADB-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერმა შესაბამისობის შემსწავლელ ჯგუფს (CRP) მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოსახლეობა კმაყოფილია ამ მიწისქვეშა გადასასვლელით.

¹⁷ [ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის პროექტი - საჯარო ინფორმაცია \(kveshetikobiroad.ge\)](http://kveshetikobiroad.ge)

56. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** ADB სრულ შესაბამისობაშია ამ ღონისძიებებთან მიმართებით და რომ ეს შეესაბამება იძულებითი განსახლების გარანტიებს, რაც მოითხოვს პროექტის ფარგლებში ეკონომიკური გადაადგილების საკითხის გადაწყვეტას, რაც მოიცავს აქტივებზე წვდომის დაკარგვას.¹⁸

5. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 5 –ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება

No.	ADB-ის შესაბამისობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
5	სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს პროექტის ვიზუალური ლანდშაფტის ზემოქმედებისა და მასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების შეფასებას და გამოაქვეყნებს მას პროექტის ვებგვერდზე. შეფასება მოიცავს ფუჭი ქანების სანაყაროების უბნებსა და შერჩეული ადგილების ფოტოსქემების კატალოგს განხორციელების ვადა: 2023 წლის დეკემბერი	შესაბამება განრიგს. აგვისტოში განხორციელდა სავლე მისია გზმ-ის მენეჯერის მიერ (შიდა გარემოსდაცვითი კონსულტანტი), რომელმაც განიხილა მეთოდოლოგია საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად. მომზადდა ფოტოსქემების კატალოგი.
		საავტომობილო გზების დეპარტამენტი სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტის მეშვეობით დაამტკიცებს რეკულტივაციის განახლებულ გეგმებს, რომლებსაც განხორციელებენ 1-ელი და მე-2 ლოტის კონტრაქტორები. ეს გეგმები ითვალისწინებს პროექტის ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედებას, ADB-ის SPS-ის 56-ე მუხლის შესაბამისად და ხადის ხეობის განვითარების გეგმის რეკომენდაციებს. განხორციელების ვადა: 2023 წლის	შესაბამება განრიგს. აგვისტოში განხორციელდა სავლე მისია გზმ-ის მენეჯერის მიერ (შიდა გარემოსდაცვითი კონსულტანტი), რომელმაც განიხილა მეთოდოლოგია საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად. რეკულტივაციის გეგმა განახლდება და დამტკიცდება შესაბამის ვადაში.

57. **მიგნებები.** შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ ეს შეფასება ჯერ არ იყო შესასრულებელი და მიიღო ინფორმაცია, რომ სავლე მისია ჩატარდა ამ ამოცანისთვის მობილიზებული კონსულტანტის მიერ. შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) მოინახულა ფუჭი ქანების სანაყაროების არსებული მე-2 ლოტის უბნები საინფორმაციო ცენტრის უკან და დიდველზე და 1-ელი ლოტის ორი უბანი კობში. ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ დიდველის უბანზე დასაწყობებული რაოდენობა შესაბამისი იყო იმისათვის, რომ რეკულტივაციის შემდეგ მოხდეს მისი ლანდშაფტთან შერწყმა, ხოლო საინფორმაციო ცენტრის უკან არსებული უბანი გამოყენებული იქნება გზის მშენებლობის პროცესში. რაც შეეხება 1-ელ ლოტს, რადგან ფუჭი ქანების რაოდენობა დიდია, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ სანაყაროების უბნების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანა

¹⁸ ADB. 2009. [საგარანტიო პოლიტიკა](#). იძულებითი განსახლების გარანტიები, ფარგლები და გამომწვევი ფაქტორები. გვ.17.

უნდა განხორციელდეს სათანადო ტექნიკური შეფასებით და გეგმის შესაბამისად, საზოგადოების მოსაზრებების გათვალისწინებით. ადგილზე ვიზიტის დროს, შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) ასევე მიიღო ინფორმაცია ზედაპირული დრენაჟის მართვის შესახებ კობის ორ სანაყაროს უბანთან მიმართებით და რომ არ ყოფილა საზოგადოების საცივრები ამ უბნებზე.

58. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა. არა.

6. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 6 – ნაგავი, ნარჩენები და თემის უსაფრთხოება და დაცულობა

No.	ADB-ის შეუსაბამობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
6	სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება ნაგავი, ნარჩენები და თემის უსაფრთხოება და დაცულობა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს ანგარიშს ნაგავთან, ნარჩენებთან და თემის უსაფრთხოებასა და დაცულობასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებელი ღონისძიებების შესახებ, საპროექტო გზის ექსპლუატაციის დროს, ADB-ის SPS-ის 56-ე მუხლის შესაბამისად. განხორციელების ვადა: 2023 წლის დეკემბერი	შესაბამება განრიგს. აგვისტოში განხორციელდა სავლე მისია გზშ-ის მენეჯერის მიერ (შიდა გარემოსდაცვითი კონსულტანტი), რომელმაც განიხილა მეთოდოლოგია საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად. ანგარიში მომზადდება შესაბამის ვადაში.

59. **მიგნებები.** ADB-ის პროექტის გუნდთან დისკუსიის შედეგად გაირკვა, რომ მობილიზებული იყო კონსულტანტი ანგარიშის მოსამზადებლად ნარჩენების, ნაგვისა და საზოგადოების უსაფრთხოებასა და დაცულობასთან დაკავშირებული რისკების შერბილების ღონისძიებების შესახებ. შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) ასევე მიიღო ინფორმაცია, რომ ანგარიშის მომზადება იგეგმება დადგენილ ვადაში.

60. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა. არა.

7. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 7 – ნახევარწლიური გარემოსდაცვითი ანგარიშები

No.	ADB-ის შესაბამობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
7.	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნახევარწლიური გარემოსდაცვითი ანგარიშები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი გააფართოებს ანგარიშგებას კონტრაქტორების შესაბამობის ნაწილში გარემოსდაცვითი უსაფრთხოების მონიტორინგის ნახევარწლიურ ანგარიშებში, კონტრაქტორების გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ადეკვატურად ასახვის მიზნით. განხორციელების ვადა: 2024 წლის იანვარი	შესაბამება განრიგს. 2023 წლის იანვარ-ივნისის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების მონიტორინგის ნახევარწლიური ანგარიში (რომელიც განიხილება გასაჯაროებამდე) გააფართოვდა, კონტრაქტორების გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ადეკვატურად ასახვის მიზნით.

61. **მიგნებები.** ვინაიდან ეს ღონისძიება შესასრულებელია 2024 წლის იანვრამდე, შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) სწრაფად მიმოიხილა ნახევარწლიური გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში (EMR) და სოციალური მონიტორინგის ანგარიშების (SMR) პროექტები (2023 წლის იანვარი-ივნისი). მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მონიტორინგის ანგარიში (SMR) არ იყო გამოქვეყნებული წინამდებარე ანგარიშის მომზადების დროს, აღნიშნული ანგარიშები კომპლექსური დოკუმენტები აღმოჩნდა, რომლებიც ითვალისწინებდა სხვადასხვა ასპექტს, მნიშვნელოვნად სცდებოდა კონტრაქტორების შესაბამობის შესახებ ანგარიშის ფარგლებს¹⁹ და ასევე იძლეოდა სურათს კონტრაქტორების გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტიანობის შესახებ.²⁰

62. ADB-ის პროექტის გუნდთან დისკუსიის ფარგლებში გაირკვა, რომ აღნიშნული ნახევარწლიური მონიტორინგის ანგარიშების დასრულების პროცესი მათ გასაჯაროებამდე რთული და შრომატევადი აღმოჩნდა. გარდა ამისა, შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) მიიღო ინფორმაცია, რომ განიხილება მიდგომები გამჭვირვების დროის შესამცირებლად.

63. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ აშკარა იყო გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის გაძლიერება და რომ ნახევარწლიური ანგარიშები საფუძვლიანად იყო მომზადებული. ვინაიდან იგივე პრაქტიკა გრძელდება მომდევნო ნახევარწლიური ანგარიშისთვის, ჯგუფი (CRP) ადასტურებს, რომ განხორციელებული ქმედებები შესაბამება განრიგს.

8. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 8 – ადგილსპეციფიკური და თემატური მართვის გეგმები

¹⁹ საქართველოს მთავრობა. 2023. [ჩრდილოეთ-სამხრეთ დორეფნის \(ქვეშეთი-კობი\) საავტომობილო გზის პროექტი: გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში \(2023 წლის იანვარ-ივნისი\)](#), ნაწილი 3-4, თბილისი.

²⁰ შენიშვნა 18, ნაწილი 7.

No.	ADB-ის შესაბამისობის დადგენა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
8	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ადგილსპეციფიკური და თემატური მართვის გეგმები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (i) აქვეყნებს და აწარმოებს ყველა ადგილსპეციფიკური და თემატური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMPs) განახლებულ სიას პროექტის ვებგვერდზე (როგორც ეს მითითებულია 1-ელი და მე-2 ლოტის გეგმებში (EMPs) და (ii) მოთხოვნისამებრ უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას. განხორციელების ვადა: 2023 წლის ივნისი	შესრულებული. ყველა ადგილსპეციფიკური და თემატური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMPs) სია განახლებული და გასაჯაროებულია პროექტის ვებგვერდზე (დასახელებით „ადგილსპეციფიკური და თემატური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის. SEMP სია“)

64. **მიგნებები.** შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ ყველა ადგილსპეციფიკური და თემატური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMPs) სია განახლდა და გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე 2023 წლის 16 ივნისს.²¹ დოკუმენტი მხოლოდ ჩამონათვალს კი არ იძლევა, არამედ ასევე განმარტავს, თუ რას წარმოადგენს სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (SEMP), რა მიზანს ემსახურება და რატომ არის იგი საჭირო. შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) აღნიშნა, რომ დოკუმენტში ასევე ნათლად არის განსაზღვრული, რომ აღნიშნული გეგმების (SSEMPs და TSEMPs) ნაბეჭდი ასლები, მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმისაწვდომია პროექტის ბანაკებში გეგმის განხილვით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის. ეს შეესაბამება ბანკის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკას.

65. სხვადასხვა გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMPs) განხილვის შედეგად, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) ადგენს, რომ გეგმებში არ არის გათვალისწინებული სამუშაოთა წარმოების გეგმა აზბესტის უსაფრთხო მართვის მიზნით. ADB-ის პროექტის ჯგუფმა განმარტა, რომ ეს არ აღმოჩნდა საჭირო, რადგან მათმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ აზბესტი არც პროექტის უბნებზე გვხვდება და არც საპროექტო სამუშაოებში გამოიყენება. ამიტომ, ADB-ის პროექტის ჯგუფმა ჩათვალა, რომ სამუშაოთა წარმოების გეგმის გათვალისწინება აზბესტის უსაფრთხო მართვის მიზნით აუცილებელი არ იყო. შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) დასაშვებად მიიჩნია ეს განმარტება.

66. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** ADB სრულად შეესაბამება მოთხოვნებს ამ ღონისძიებასთან მიმართებით. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ადგილსპეციფიკური და თემატური მართვის გეგმებთან მიმართებით. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) აღნიშნავს, რომ საჭიროა ვებგვერდის პერიოდული განახლება სხვადასხვა გეგმების უახლესი ვერსიებით, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს სრულად მიუწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) იმავე საკითხებს შეამოწმებს შემდგომი მონიტორინგის ფარგლებში.

²¹ საქართველოს მთავრობა. 2023. [*ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის პროექტი - საჯარო ინფორმაციის ვებგვერდი*](#). თბილისი.

9. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა 9 – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშები

No.	ADB-ის შეუსაბამობის რაოდენობა	ღონისძიებების აღწერა	განხორციელების მიმდინარეობა
9.	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე აქვეყნებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მეორე შუალედურ ანგარიშს და კულტურული მემკვიდრეობის გენერალურ სამოქმედო გეგმას შესაბამის დანართებთან და დამატებებთან ერთად. განხორციელების ვადა: 2023 წლის ივნისი	შესრულებული. აღნიშნული ანგარიშები გაერთიანდა ერთ ანგარიშში ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) შესახებ და გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე (დასახელება „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშები – კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა“).

67. **მიგნებები.** როგორც აღრე, გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის (RAP) 1(a) IV (A) ნაწილში აღინიშნა, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წლის ნოემბრის მეორე შუალედური ანგარიშისა და 2021 წლის ივლისის კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმის (CHGAP) ფარგლებში შეგროვებული არსებული მონაცემები ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) შესახებ გააერთიანა კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმის (CHGAP) შუალედური და საბოლოო ანგარიშების კონსოლიდირებულ ვერსიაში, ყველა დანართითა და დამატებით. აღნიშნული კონსოლიდირებული ანგარიში გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე 2023 წლის 16 ივნისს. შესაბამისობის შემსწავლელმა ჯგუფმა (CRP) განიხილა აღნიშნული კონსოლიდირებული ვერსია და დაადგინა, რომ მასში შეტანილია ორი ანგარიში ყველა დანართითა და დამატებით.

68. **შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) დასკვნა.** ADB სრულად შეესაბამება მოთხოვნებს.

V. დასკვნა

A. გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა

საკითხი No.	შესაბამისობის სტატუსი
ფიზიკური კულტურული რესურსები	
1 (a). ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) საწყისი შეფასება განხორციელების ვადა: 2023 წლის	სრულად შეესაბამება ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) საწყისი შეფასება კონსოლიდირებული და გამოქვეყნებულია.
1(b). კულტურულ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება განხორციელების ვადა: 2023 წლის დეკემბერი	შესაბამება განრიგს. კულტურულ ლანდშაფტზე ზემოქმედების შემცირების შეფასება განხორციელებულია ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის მეშვეობით, რომელიც დამტკიცებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და გამოყენებულია ხადის ხეობის განვითარების გეგმის განხორციელებისთვის მოსამზადებლად.
სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება	
2. მიწის დროებითი დაკავება სამუშაოების კონტრაქტორების მიერ განხორციელების ვადა: 2023 წლის სექტემბერი	სრულად შეესაბამება, მაგრამ საჭიროა განხორციელების ეფექტურობის დადასტურება. მიწის დროებითი დაკავების სახელმძღვანელო მითითებები შემუშავებულია და ხორციელდება.
იძულებითი განსახლება	
3. შემოსავლისა და საარსებო წყაროების აღდგენა განხორციელების ვადა: 2023 წლის ივნისი და სექტემბერი	სრულად შეესაბამება - ღონისძიებების განხორციელების ვადა ივნისი. საარსებო წყაროების აღდგენის დროში გაწერილი გეგმა მომზადებულია, მიიჩნევა პროექტის მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმების (LARPs) განუყოფელ ნაწილად და გამოქვეყნებულია. საჯარო კონსულტაციები ჩატარებულია და ინფორმაციის გავრცელება განხორციელდა. LRP-ის ფარგლებში მოვლენილი ფაქტობრივი ღონისძიებები დაიწყო FAO-ის მხარდაჭერით. CRP მოელის მომდევნო წინსვლის ანგარიშის მიღებას ამ მიმართულებით.
4. ADB-ის მონიტორინგი და ზედამხედველობა განხორციელების ვადა: 2023 წლის სექტემბერი	ნაწილობრივ შეესაბამება. მონიტორინგი და ზედამხედველობა მნიშვნელოვნად გაძლიერებულია. აუცილებელია ნახევარწლიანი ანგარიშების ფარგლებში გრძელვადიანი და მაღალრისკიანი საკითხების პირდაპირ შეტანა და კონტროლი.

B. შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა

საკითხი No.	შესაბამისობის სტატუსი
გარემოზე ზემოქმედება	
<p>1. პროექტით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შემცირება განხორციელების ვადა: 2023 წლის ივნისი 2023 წლის დეკემბერი</p>	<p>სრულად შესაბამეა. პროექტით გამოწვეულ ზემოქმედებაზე რეაგირების მიზნით, მომზადდა და გამოქვეყნდა გუდაურამდე მისასვლელი გზის საწყისი გარემოსდაცვითი შეფასება (IEE).</p> <p>შესაბამეა განრიგს. ხადის ხეობის განვითარების გეგმა, მიღწეულია წინსვლა პროექტით გამოწვეული განვითარების საკითხების ასახვის მიმართულებით.</p>
ფიზიკური კულტურული რესურსები	
<p>2. ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება განხორციელების ვადა: 2023 წლის სექტემბერი</p>	<p>სრულად შესაბამეა კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმები განახლებულია, დამტკიცებულია და დაწყებულია განხორციელება.</p>
<p>3. ფიზიკური კულტურული რესურსების უბნებზე ზედამხედველობა განხორციელების ვადა: 2023 წლის სექტემბერი</p>	<p>სრულად შესაბამეა, მაგრამ საჭიროა განხორციელების ეფექტურობის დადასტურება. შექმნილია ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) მონიტორინგისა და თვალყურის მიდევნების სისტემა ყველა მოთხოვნის შესაბამისად და იგი ასევე იყენებს ინოვაციურ ონლაინ რუკებს.</p>
სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება	
<p>4. თემის ხელმისაწვდომობა მიწაზე განხორციელების ვადა: 2023 წლის სექტემბერი</p>	<p>სრულად შესაბამეა მომზადებულია პროექტი და აშენებულია ორი მიწისქვეშა გადასასვლელი, რათა მოსახლეობას ხელი მიუწვდებოდეს მიწაზე ეკონომიკური გადაადგილების საკითხის გადასაწყვეტად.</p>
<p>5. ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება განხორციელების ვადა: 2023 წლის დეკემბერი</p>	<p>შესაბამეა განრიგს. შეფასებები ხორციელდება ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედების საკითხზე რეაგირების მიზნით შემუშავების პროცესშია რეკულტივაციის გეგმები.</p>
<p>6. ნაგავი, ნარჩენები და თემის უსაფრთხოება და დაცულობა განხორციელების ვადა: 2023 წლის</p>	<p>შესაბამეა განრიგს. განხორციელდა სავლე სამუშაოები და მზადდება ანგარიში ამ საკითხების გადასაწყვეტად.</p>
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	
<p>7. ნახევარწლიური გარემოსდაცვითი ანგარიშები განხორციელების ვადა: 2024 წლის იანვარი</p>	<p>შესაბამეა განრიგს. 2023 წლის იანვარ-ივნისის ანგარიშში აშკარაა გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის მნიშვნელოვანი გაძლიერება, მოსალოდნელია, რომ იგივე გაგრძელდება.</p>
<p>8. ადგილსპეციფიკური და თემატური მართვის გეგმები</p>	<p>სრულად შესაბამეა. აღნიშნული მართვის გეგმები განახლებული და გამოქვეყნებულია.</p>
<p>9. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშები განხორციელების ვადა: 2023 წლის ივნისი</p>	<p>სრულად შესაბამეა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშები გამოქვეყნებულია მოთხოვნის შესაბამისად.</p>

VI. მენიშვნები და რეკომენდაციები

69. შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის (CRP) მენიშვნები ADB-ის პროექტის გუნდისთვის:

- (i) ზაქათკარი: სოფლის მახლობლად გზის მშენებლობის გარკვეული მონაკვეთები ძალიან ახლოსაა ცუდ მდგომარეობაში მყოფ სახლებთან (დაახლოებით 25 მეტრი). ამიტომ, სამშენებლო პრაქტიკა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედება მინიმალური იყოს. აუცილებელია ვიბრაციის ადეკვატური მონიტორინგის განხორციელება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ზაქათკარის თემი არ დაზარალდეს მშენებლობასთან დაკავშირებული ზემოქმედების გამო.
- (ii) ჰაერის დაბინძურება: ყველა დაინტერესებულ მხარესთან გამართულმა დისკუსიამ აჩვენა, რომ ჰაერის დაბინძურების საკითხი მშრალი სეზონის განმავლობაში არაადეკვატურად იყო განხილული. დიდი ძალისხმევის შემდეგაც კი, მხოლოდ ერთი დამატებითი წყლის სატვირთო მანქანა დაემატა ავტოპარკს, რაც არ იყო საკმარისი. იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო მშრალ სეზონამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი, აუცილებელია ჰაერის დაბინძურების საერთო მართვის დამატებითი მეტოდების განხილვა და გამოყენება. გაკეთდა რამდენიმე შეთავაზება: (i) უვნებელი დანამატების გამოყენება წყლის აორთქლების სიჩქარის შესამცირებლად; (ii) საზოგადოების ჩართულობა ცნობიერების ამაღლების გზით, რათა ავტომობილის მართვის დროს დაიცვან სიჩქარის შეზღუდვები; და (iii) უფრო მეტი სარწყავი სატვირთო მანქანების გამოყენების დაგეგმვა და/ან შუალედური წყლის ავზების განთავსება თითოეული სატვირთო ავტომანქანის შესავსებად საჭირო დროის შესამცირებლად.
- (iii) თემის უსაფრთხოება და მზადყოფნა: დისკუსიამ თემის შერჩეულ წარმომადგენლებთან აჩვენა, რომ თემის უსაფრთხოება მათი ერთ-ერთი საზრუნავია. მათი პრობლემების გადასაჭრელად, კონტრაქტორებმა და ზედამხედველობის კონსულტანტმა კომუნიკაცია უნდა მოახდინონ მოსახლეობასთან სხვადასხვა განხორციელებული ღონისძიებისა და სხვადასხვა ასპექტის შესწავლის თაობაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული არანორმალური ან საგანგებო მოვლენები. გარდა აფეთქებით გამოწვეული პრობლემებისა, გზისა და გვირაბის მშენებლობის გამო ასევე აღინიშნება მნიშვნელოვანი ჰიდროლოგიური ცვლილებები. ამან ასევე შეიძლება გამოიწვიოს არანორმალური ან საგანგებო მოვლენები, რისთვისაც უნდა შეიქმნას საზოგადოების მზადყოფნა. საზოგადოების ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება გაზრდის ნდობას, რომ უსაფრთხოება ადეკვატურად განიხილება პროექტის ფარგლებში.

ელისეა გოზუნი

თავმჯდომარე, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი

ვაიდესვარან სანკარანი

წევრი არასრული სამუშაო დროით, შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი

მანილა, ფილიპინები

2023 წლის 18 ნოემბერი

შესაბამისობის განხილვის მოთხოვნა

შესაბამისობის ანალიზის ოფიცერს

ADB-ის შესაბამისობის ანალიზის პანელი

მანილა, ფილიპინები

ელ-ფოსტა: amcro@adb.org

ძვირფასო ოფიცერო,

მოგმართავთ თხოვნით, დაიწყოთ შესაბამისობის ანალიზის პროცესი, რათა დარწმუნდეთ, რომ 23-კილომეტრიანი ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის პროექტი, რომელიც გახლავთ ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის ახალი მონაკვეთი, შეესაბამება ADB-ის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს და რათა მინიმუმამდე შემცირდეს პროექტის ზემოქმედება, რომელიც მშენებლობის საწყის ეტაპზეა.

პროექტი აშკარად საფრთხეს უქმნის 60 კომუნიკაციის ხეობის სახელით ცნობილ უნიკალურ ხეობას კულტურული მემკვიდრეობასა და ლანდშაფტზე, ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე ზემოქმედების სათანადო უზრუნველყოფისა და შემსუბუქების გარეშე, რომელსაც ხელშესახები სარგებელი არ მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ხადის ხეობის დაზიანება და არასრულყოფილი ალტერნატივები

ადგილობრივმა მოსახლეობამ სახელმწიფო საავტომობილო გზების დეპარტამენტს მიმართა თხოვნით, გაერკვიათ, თუ რა გზით იქნებოდა შესაძლებელი ხადის ხეობის, მისი ლანდშაფტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების თავიდან აცილება, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის ხალხის საარსებო საშუალებებს. ჩვენ ვითხოვდით, რომ მაგისტრალს არ გაეგლო ხეობაში, არამედ გაყვანილიყო ალტერნატიული, მეზობელ ხეობაში (სადაც თითქმის არ არის მოსახლეობა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები), ან მომხდარიყო სხვა ალტერნატიული განლაგების შემოთავაზება. ეს მკაფიოდ დაფიქსირდა 2019 წლის გაზაფხულზე ჩატარებული საჯარო განხილვების დროს, თუმცა, პროექტის განმახორციელებელმა არასდროს წარმოადგინა მკაფიო არგუმენტები, თუ საბოლოოდ როგორ მოხდა გზის აღნიშნული მარშრუტის შერჩევა, მათ შორის

ალტერნატივების მითითებით. საჩივრის საპირისპიროდ აცხადებდნენ, რომ ალტერნატივების ძირითადი შერჩევის კრიტერიუმები იყო გეო-ინჟინრული შეფასება, თუმცა არც ESIA და არც შემდგომ გამოქვეყნებული სხვა დოკუმენტები არ მოიცავს ალტერნატივების სრულყოფილ ანალიზს და მათი უარყოფის მიზეზებს, მათ შორის არსებით კონსტრუქციულ ალტერნატივას (ერთიანი გვირაბი ქვეშეთიდან კობამდე, სავარაუდო სიგრძით 15.5 კმ, პროექტით შემოთავაზებული 9 კმ-იანი გვირაბის სანაცვლოდ), ასევე "არანაირი პროექტის" ალტერნატივა არსებითად არც განხილულა და თავიდანვე იყო უარყოფილი. ამ პერიოდში, კონსულტაციებისას, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისა და ექსპერტებისგან მოვისმინეთ უამრავი შემფოთება გეოლოგიურ და სეისმოლოგიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ამიტომ, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტის ყველა ალტერნატივა იყოს კარგად შესწავლილი და გასაჯაროებული. ასევე, პროექტის დოკუმენტაციაში არ არის მითითებული ყველა საჭირო დეტალი, მათ შორის დეტალური მარშრუტი, რათა შემარბილებელი და უსაფრთხოების ყველა ღონისძიების მიღებამდე არ მოხდეს პროექტის განხორციელების შეჩერება.

ზემოქმედება საარსებო საშუალებებზე და ადგილობრივი სარგებელი

პროექტის თანახმად, იგი რეგიონს მოუტანს კეთილდღეობას და პროექტის დოკუმენტაციის თანახმად, მის ერთ-ერთ მთავარ ბენეფიციარს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობა. მოსალოდნელია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები გაიზრდება, რადგან პროექტით შესაძლებელი გახდება ადგილობრივი გზისა და ახლად დაარსებული ხადის ხეობის ვიზიტორთა ცენტრის გამოყენება ყველა სეზონზე. თუმცა, ზოგადად, 558 მლნ აშშ დოლარიანი პროექტისთვის, ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელი ცოტა არ იყოს მოკრძალებულია. პროექტი აშკარად არ ითვალისწინებს ხეობაში ყველა სეზონისთვის გათვლილი შიდა გზის უზრუნველყოფის აუცილებლობას, რომელიც იქნება ფუნქციონალური და სოფლის მოსახლეობისთვის ადვილად ხელმისაწვდომი, მაშინ როცა ახალმა მაგისტრალმა შეიძლება ხელი შეუშალოს მოსახლეობას საკუთარ მიწებთან მისვლაში.

პროექტისა და შემდგომი კომუნიკაციების თანახმად, EIA-მ განიხილა ყველა სახის პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედება მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს (ხმაური, ვიბრაცია, ჰაერის ხარისხი, ბიომრავალფეროვნება ...) და მათი შესაბამისი ფუნქციური საზღვრები. როგორც ეს მოცემულია EIA-ში, ჰაერის ხარისხისა და ხმაურის მოდელირების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო გზაზე მოძრაობა არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ხმაურს და ჰაერის დაბინძურებას ეროვნული ან საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული დონეზე ზემოთ. ამასთან, ხმაურისა და ჰაერის დაბინძურების სათანადო საბაზისო კვლევების არარსებობა და იმ ზემოქმედების გათვალისწინება, რომელიც წარმოდგენილი იქნა ESIA-ში, ექსპლუატაციის ფაზაში არ იძლევა ნდობას. მაგალითად მიუხედავად იმის მტკიცებისა, რომ ჰაერის ხარისხისთვის გამოყენებული იქნებოდა IFC-ის სტანდარტები, საბაზისო კვლევაში ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი ჩატარდა საქართველოს სტანდარტების შესაბამისად და მხოლოდ გარკვეულ უბნებში. ხეობაში არ მომხდარა ასევე ვიბრაცია გაზომვა, ხადის ვიბრაციის რისკების იდენტიფიცირებისა და შერბილების ნაცვლად, EIA-ში ნათქვამია: "ამ ეტაპზე ძნელია ზუსტად გაანგარიშება, თუ რამდენად აღემატება ვიბრაცია დასაშვებ ზღვარს". ჰაერის ხარისხის მართვისა და ხმაურით დაბინძურების პრევენციის სამოქმედო გეგმების მომზადება დაევა პროექტის მშენებელს. ეს კითხვებს ბადებს, განსაკუთრებით ხმაურის დაბინძურების შესახებ სათანადო კანონმდებლობის არარსებობის ფონზე. ამიტომ, მშენებლობისა და მოგვიანებით ექსპლუატაციის ეტაპზე, გარკვეული თემებისთვის ხმაური და ჰაერის დაბინძურების დონე შეიძლება WHO-ის მიერ დადგენილ სტანდარტებზე უფრო მაღალი იყოს. ეს ნამდვილად უარყოფითად აისახება ადგილობრივების საარსებო საშუალებებზე.

ESIA ეხება მხოლოდ ხადის ხეობის ზოგიერთ სოფელში (წვერე, კობი, ქვეშეთი, არახვეთი, ზაქათკარი, ბენიანი, ბეგონი, სვიანა, როსტიანი და მუგურე) იმ პირთა საჭიროებებსა და ზემოქმედებას, რომლებიც პირდაპირ დაზარალდნენ პროექტით. იგი არ ეხება ფართო სექტორის პრობლემებს (დაბინძურება, ხმაური, საგზაო მოძრაობის გააქტიურება და ა.შ.), რომლის წინაშეც აღმოჩნდება პროექტით დაზარალებული თითოეული თემი, მათ შორის იმ სოფლებში, რომლებიც აქ არ არის ჩამოთვლილი (იხილეთ ქვემოთ). გარდა ამისა, ანგარიშში არ არის შეფასებული პროექტის სოციალურ-ეკონომიკური და გენდერული გავლენა პროექტის არეალში არსებულ თემებზე მისი მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში, მუშახელის ზემოქმედების ჩათვლით. კვლევა ასევე ნაკლებად ეხება მიწის შესყიდვის უშუალო გავლენას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადამიანებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ხადის ხეობის რამდენიმე სოფელი პროექტის დოკუმენტებში არ განიხილება "დაზარალებულად", თუმცა დაგეგმილია დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც გავლენას იქონიებს აღნიშნულ სოფლებზე. ADB-დან და EBRD-დან მიღებული პასუხი ადასტურებს, რომ საპროექტო დოკუმენტაცია არ მოიცავს აღნიშნული საქმიანობით გამოწვეულ გარემოსდაცვით და სოციალურ

ზემოქმედებას ან გუდაურის გზის რისკის შემცირების გეგმებს. "ზაქათკარიდან გუდაურამდე არსებული გზა დროებით გაუმჯობესდება მშენებლობის პროცესში, რათა შესაძლებელი გახდეს გრუნტის ნაგავსაყრელთან მისვლა და ასევე სხვა სამშენებლო მიზნებისთვის, რომელიც ექვემდებარება EMP მოთხოვნებს. სპეციფიკური მეთოდის შესახებ დოკუმენტაციას მოამზადებენ სამუშაოების კონტრაქტორები ყველა დროებითი გზისთვის, რომლებიც სამუშაოების დაწყებამდე განიხილება და დამტკიცდება სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტისა და RD-ის მიერ. როგორც ეს მითითებულია EIA-ში (ნაწილი B.5.4) და განხილულ იქნა ადრე ჩატარებული კონსულტაციების დროს, გუდაურში არსებული გზა მომავალში გახდება მუდმივ გზად. მანამდე მოხდება შესაძლო სოციალურ და გარემო ზემოქმედების შესწავლა და ჩატარდება დამატებითი კონსულტაციები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. იგივე მიდგომა იქნება გამოყენებული ვიზიტორთა ცენტრისთვის. ამის შემდეგ მოხდება გზის მონაკვეთის EIA-ისა და LARP-ის განახლება, ქონების შეფასებებით, მიწის მიმდინარე საბაზრო ღირებულების და მიწის გარდა სხვა აქტივების ჩანაცვლების ღირებულების შესაბამისად". შესაბამისად, როგორც ჩანს, გუდაურის გზა განიხილება როგორც მუდმივი გზა, თუმცა არა როგორც პროექტის ნაწილი და ყველა საქმიანობა გადადებულია გაურკვეველი დროით.

ESIA-ში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი ოჯახების შემოსავალი გაიზრდება ტურისტული და ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობების მეშვეობით. ამასთან, მითითებული არ არის ადგილობრივი მუშახელის რაოდენობა, რომლის ჩართვაც კომპანიისთვის სავალდებულო იქნება.

ამასთან, ადგილობრივი ტურისტული კომპანიები გამოთქვამენ შეშფოთებას, რომ ახალი გზა შეამცირებს ტურისტულ შესაძლებლობებს ხეობაში ხმაურის გაზრდის, დაბინძურების და სხვა სამშენებლო და საექსპლუატაციო რისკების გამო. ტურისტული კომპანიები არასდროს ყოფილან ჩართული პროექტის განხილვაში, რაც ნათელი ხდება მათი განცხადებიდან.

გარდა ამისა, ხადის ხეობის გრძელვადიან განვითარებასთან დაკავშირებულ კითხვაზე, გასაკვირად ნათელი ხდება, რომ პროექტის დამფინანსებელმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მხოლოდ ახლა "მიმართა დახმარების თხოვნით აზიის განვითარების ბანკს, პროექტისათვის მიწის მდგრადი გამოყენების გეგმის შემუშავებისათვის, რომელიც მომზადდება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ქალბისათვის სოციალური მომსახურებებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. ამ გეგმის შედეგები ასევე განსაზღვრავს ტურიზმის კონცეფციისა და შესაძლო ვიზიტორთა ცენტრის განვითარებას, ადგილობრივი საზოგადოების წევრებისათვის მაქსიმალური სარგებლის მისაღწევად და მდგრადი ტურიზმის ღირებულების ხელშესაწყობად"¹. მაშინ როგორ ამტკიცებს პროექტი, რომ ტურიზმის მეშვეობით გაიზრდება შემოსავლები, თუ ჯერ კონცეფციაც არ არის შემუშავებული? რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ახლად შემუშავებული მიწის მდგრადი გამოყენების გეგმა მოითხოვს გარკვეული ცვლილებების შეტანას ახალი გზის პროექტში?

ყოველივე ზემოთქმული ადგილობრივი თემების წარმომადგენლების შეშფოთებას წარმოადგენს, იმასთან ერთად, რომ პროექტი არ ეხება ხადის ხეობის თემებში არსებულ არცერთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, მათ შორის საბავშვო ბაღის, სკოლის, ამბულატორიის არარსებობას და ა.შ. თითქმის ნახევარი მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირება და ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო საშუალებების სულ მცირე 1%-ით გაუმჯობესების ვერ-უზრუნველყოფა კი აბსოლუტურად მიუღებელი პრაქტიკაა.

მიწების კომპენსაციის პროცესი საჯარო რეესტრში კვლავ პრობლემატურია, ამასთან არსებობს უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა (მათ შორის, პროექტის საჩივრის მექანიზმი, IFI-ის ანგარიშგაღებულების მექანიზმები და ა.შ.) იმ ხალხისათვის, რომლებიც სხვადასხვა გზით განიცდიან პროექტის ზემოქმედებას იქნება ეს მიწების დაკარგვა, სამშენებლო სამუშაოებისას სახლების შესაძლო დაზიანება თუ ჰაერისა და ხმაურის დაბინძურება და გეოლოგიური უსაფრთხოება. ყველა ეს საკითხი კვლავაც ადგილობრივი მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს. EBRD-ისა და ADB-ის გარანტიების მიუხედავად, რომ მიწის კომპენსაციის პროცესი წარიმართება მათი სტანდარტების შესაბამისად, ადგილზე ხალხი კვლავ იძულებულია იბრძოდოს საკუთარი უფლებების დასაცავად. ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ქონების შეფასება. 1 კვ.მ მიწის ფასი 5,60 ლარიდან (1,80 აშშ დოლარი 2019) გაიზარდა 16-22 ლარამდე (5-7 აშშ დოლარი 2020), თუმცა მიუხედავად ამისა შემოთავაზებულ ფასზე მოლაპარაკებები მფლობელებთან არ შედგა.

პროექტის გეგმასთან დაკავშირებული პრობლემები და ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე

დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაკეთებული ESIA-ის ხარისხის ანალიზი ადასტურებს ჩვენს შეშფოთებას პროექტის ბუნებაზე და საარსებო საშუალებებზე ზემოქმედების შესახებ. EIA მკაფიოდ ახდენს მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების "გადავადებას" EIA-ის ეტაპიდან მშენებლობის ეტაპამდე და, შესაბამისად, იგი არ მიიღებს სათანადო დამტკიცებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიმღები ნორმატიული ორგანოს მიერ. ეს მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა საავტომობილო გზა გუდაურიდან, გრუნტის განადგურება, ასფალტის ქარხნები.

EBRD, ADB-ის კონსოლიდირებული პასუხი 25.09.2020, ნაწყვეტი

ხშირ შემთხვევაში, ESIA განსაზღვრავს ზოგიერთ საქმიანობას, როგორც რეკომენდაციას, და არა როგორც სავალდებულო მოთხოვნებს. 2 მლნ კუბური მეტრი ნიადაგის განკარგვის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი უსაფრთხოებისათვის და სანამ პროექტის განხორციელება არ დაიწყება, მანამდე არ არსებობს მკაფიო პასუხი თუ როგორ მოხდება ამ კონკრეტული საკითხის მოგვარება. პროექტის კომპანიისგან მრავალი წინადადება მოვისმინეთ გრუნტის ნაგავსაყრელის ფერდობზე მოწყობასთან დაკავშირებით, რამაც უფრო მეტი შემფოთება გამოიწვია.

პროექტის ESIA აღწერს კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც შეიძლება სერიოზული ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდეს, მაგრამ არ ახდენს მის შერბილებას. ანალიზი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით მიღებული ზომები უამრავ კითხვას იწვევს. მაგალითად ESIA-ში ნათქვამია, რომ გზის მარშრუტის შერჩევასა და მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ადგილებზე გვერდის ავლა, მაგრამ არ განმარტავს, თუ როგორ მოხდება ეს. მაგალითად. ESIA-ში აღნიშნულია, რომ ბეგონის კოშკი არ დაზარალდება, რადგან ის უკვე დანგრეულია. სათანადო შეფასების არარსებობა, რაც ნათლად დადასტურდა წინასწარი მშენებლობის-წინა ეტაპის შემდგომი პროცესით.²

ADB-ის ბოლო ცნობებში ნათქვამია, რომ ადგილობრივი თემების და მწვანე ალტერნატივის მხრიდან გამოთქმული შემფოთების საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველსაყოფად, განხორციელებულია ყველა ღონისძიება, მათ შორის მიზანშეწონილობის კვლევა, კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაცია, კონსულტაციები და ა.შ. აღნიშნულის საფუძველზე, ექვსი დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ადგილი იქნა გამოვლენილი საპროექტო გზიდან 50 მეტრში და აღნიშნული ადგილებისა და ზოგიერთი სხვა სენსიტიური ადგილისთვის მომზადდა შემარბილებელი ღონისძიებები. თუმცა, ამასთანავე წერილიდან ირკვევა, რომ მომზადდება მართვის ორი გეგმა; პირველი კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა (CHMP), რომელიც უნდა შეიმუშაოს საპროექტო სამუშაოების კონტრაქტორმა, ხოლო მეორე კულტურული მემკვიდრეობის გენერალურ სამოქმედო გეგმას (CHGAP) შეიმუშავებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით. აღნიშნული ნაბიჯები მისასალმებელია, მაგრამ რადგან პროექტის ინიციატორმა უკვე დაიწყო სამუშაოები, არსებობს საშიშროება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შემამსუბუქებელი ღონისძიებები ძალიან გვიან შემუშავდება და / ან საჭიროების შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელი იქნება პროექტის მარშრუტის შეცვლა. ამიტომ მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის და ტექნიკური მითითებების გასაჯაროება, სამოქმედო გეგმების გარშემო ღია დისკუსიების ორგანიზება და ინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფების (არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები და ა.შ.) მონაწილეობით.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ალტერნატიული მარშრუტების მომზადების მთავარი შემაკავებელი ფაქტორი იყო მთიანი რელიეფი, რომელსაც მოჰყვა გეოლოგიური არასტაბილურობა და კლიმატის სისუსტე, თუმცა კლიმატისადმი მდგრადი გზის მშენებლობისთვის პროექტის EIA-ში ნათქვამია, რომ წარმოდგენილი იქნება "ადაპტაციის" ღონისძიებები, თუმცა იგი ვერ ახდენს რეაგირებას ექსტრემალურ ამინდში გაზრდილ მოვლენებზე, მეწყერებზე, ღვარცოფებზე, ქვათა ცვენაზე და ზვავებზე, რაც ასევე იმოქმედებს ახალ გზაზე. ESIA-ის დოკუმენტში ასევე არ არის განხილული საკითხი, გააქტიურდება თუ არა სხვადასხვა სეისმური პროცესები პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესის გამო

ESIA-ის ხარისხი

ESIA-ის ანალიზი, რომელიც საფუძვლად უდევს გარემოს დაცვისა და მშენებლობის ნებართვებს ეროვნული კანონმდებლობისა და ADB ESIA-ის შესაბამისად, მიუთითებს რომ მისი ხარისხი ძალიან ცუდია. იგი არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც საჭიროა პროექტის ზემოქმედების სწორად აღსაქმელად, რაც იწვევს სუსტი შემარბილებელ შედეგებს. საბაზისო კვლევების დეფიციტთან ერთად, ESIA და მასთან დაკავშირებული საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალები არ მოიცავს პროექტის საკმარის დასაბუთებას, მათ შორის სათანადო ეფექტურობის ანალიზს, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით. შემარბილებელი ღონისძიებები და პროექტის

² კუბლიკაციაში აღწერილია ეროვნული დონეზე ნებართვებთან დაკავშირებული გაურკვევლობა.

იმპლემენტაციისთვის საჭირო დამატებითი ინფრასტრუქტურაც (მაგალითად, რუსეთ-სომხეთის გაზსადენების გამოყოფა) სათანადოდ არ არის გათვალისწინებული.

მიმოწერა აზიის განვითარების ბანკის თანამშრომლებთან და პროექტთან

გთხოვთ, იხილოთ თანდართული მიმოწერა

GA წერილები და აზიის განვითარების ბანკისთვის მიწერილი პასუხები

წერილი გენერალურ დირექტორს, ბატონ ვერნერ ლიპაჩს, ასლი: გენერალური დირექტორის მოადგილეს ბატონ ნიანშან ჟანგს, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი, აზიის განვითარების ბანკი, 4 სექტემბერი, 2020

წერილი გენერალურ დირექტორს, ბატონ ვერნერ ლიპაჩს, ასლი: გენერალური დირექტორის მოადგილეს ბატონ ნიანშან ჟანგს, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი, აზიის განვითარების ბანკი, **6 სექტემბერი, 2019**

წერილი აზიის განვითარების ბანკის ადგილობრივ ოფისს, 2020 წლის 31 მარტი

წერილი ადგილობრივი მოქალაქეებისგან

- წერილი ადგილობრივი მოქალაქეებისგან, 2019 წლის 1 აგვისტო, გაეგზავნა პროექტის ლიდერს კამელ ბოუჰმადს, აზიის განვითარების ბანკის ანგარიშვალდებულების მექანიზმის გავლით
- ნოემბერი 18, 2019, ვემერს, ლიპაჩს, კლინტს პეტერსონს, დონგ სუ პიო; მრავალ მიმოწერას და კომუნიკაციას ჰქონდა ადგილი ადგილობრივ მოსახლეობასა და პროექტის ოფისს შორის როგორც ხადის ხეობაში, ისე თბილისში

დამატებითი ინფორმაცია

ბრიფინგი ADB AGM-თვის 2019, მწვანე ალტერნატივა

ექსპერტთა შეფასება ქვეშეითი კობის გზასთან დაკავშირებით, 2019

ქვეშეითი-კობის გზის პროექტთან დაკავშირებული ანგარიში, მწვანე ალტერნატივა

პეტიცია

ESIA-ის ხარისხის ანალიზი, მ. გვილავა, ქართულ ენაზე

რას ვითხოვთ:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, შეისწავლოთ პროექტის გავლენა გარემოზე და მისი შესაბამისობა ADB-ის უსაფრთხოების სტანდარტებთან; რა გავლენას მოახდენს პროექტი ჩვენს საარსებო საშუალებებზე და ცხოვრების ხარისხზე და როგორი უნდა იყოს შესაბამისი ღონისძიებები, აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად.

გთხოვთ, დაიცვათ ადგილობრივი ხელმომწერების კონფიდენციალობა, რათა თავიდან იქნას აცილებული სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან ზეწოლა. ამასთან, საჩივრის შესახებ წარმომადგენლობის უფლებამოსილება გვსურს მივანიჭოთ ასოციაცია მწვანე ალტერნატივის თავმჯდომარეს, მანანა ქოჩლაძეს და მწვანე ალტერნატივას სოციალური და გარემოსდაცვითი პროგრამების ექსპერტს, ქალბატონ მარიამ დევიძეს. (იხ. დანართი 1).

დასკვნითი ანგარიში - შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფის მოთხოვნა No. 2021/1 ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) საავტომობილო გზის პროექტი საქართველოში (აზიის განვითარების ბანკის სესხი 3803)

ცხრილი 5. მიგნებები შეუსაბამობებისა და ზიანის შესახებ და ხელმძღვანელობის შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებები

საკითხი	ADB-ის შეუსაბამობის დადგენა	ზიანის დადგენა? (დიახ/არა)	გამოსასწორებელი ღონისძიებების მართვა (სავალდებულო ^ა /რეკომენდებული ^ბ / ღონისძიების გარეშე ^ც)
1. გარემოზე ზემოქმედება			
1.1 გარემოზე ზემოქმედების შეფასება, კვლევის სფერო და პროექტის კომპონენტები	CRP ადგენს ADB-ის შეუსაბამობას საბჭოს დადასტურების წინ განსაზღვრული კომპლექსური შემოწმების ვალდებულებასა და SPS-ის 56-ე მუხლით დადგენილ განხილვის ვალდებულებასთან. ეს გულისხმობს საბოლოო გზშ-ში პროექტით გამოწვეული ზემოქმედების ადეკვატურად გათვალისწინებას, რაც უკავშირდება პროექტის ფარგლებში ხადის ხეობასა და გუდაურს შორის კავშირის ჩამოყალიბებას, როგორც ამას მოითხოვს გარემოსდაცვითი საგარანტიო პოლიტიკის SPS-ის მე-2 პრინციპი. (იხილეთ პარაგრაფი 71.)	არა	რეკომენდებული ღონისძიება
2. ჰაერი, ხმაური და ვიბრაცია			
2.1 ჰაერი	CRP ადგენს, რომ ADB არ შეესაბამებოდა საბჭოს დასტურის წინ დადგენილი კომპლექსური შემოწმებისა და განხილვის ვალდებულებებს, რომლებიც გაწერილია SPS-ის 56-ე მუხლით და გულისხმობს ადეკვატური საბაზისო მონაცემების მოპოვებას საპროექტო ტერიტორიაზე ჰაერის ხარისხის შესახებ, საბოლოო გზშ-ში შესატანად, SPS-ის 1-ელი დანართის მე-5 და მე-9 პარაგრაფების შესაბამისი დებულებების თანახმად (იხ, პარაგრაფი 89)	არა	ღონისძიებების გარეშე
2.2 ხმაური	CRP ადგენს, რომ ADB არ შეესაბამებოდა საბჭოს დასტურის წინ დადგენილი კომპლექსური შემოწმებისა და განხილვის ვალდებულებებს, რაც გათვალისწინებულია SPS-ის 56-ე პარაგრაფით და გულისხმობს ადეკვატური საბაზისო მონაცემების მოპოვებას საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის შესახებ, საბოლოო გზშ-ში შესატანად SPS-ის 1-ელი დანართის მე-5 და მე-9 პარაგრაფების შესაბამისი დებულებების თანახმად (იხ. პარაგრაფი 103.)	არა	ღონისძიებების გარეშე

საკითხი	ADB-ის შესაბამობის დადგენა	ზიანის დადგენა? (დიახ/არა)	გამოსასწორებელი ღონისძიებების მართვა (სავალდებულო ^ა /რეკომენდებული ^ბ / ღონისძიების გარეშე ^ც)
3. მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები (PCR)			
3.1 საბჭოს დასტურის წინ	<p>ADB-ის საბჭოს დასტურის წინა კომპლექსური შემოწმება ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტს SPS-ის 56-ე მუხლის შესაბამისად. ADB-მ არ დაადასტურა საბჭოს დამტკიცებამდე, რომ გამოვლენილი იყო პროექტის ყველა ძირითადი შესაძლო ზემოქმედება და რისკი გარემოზე; ან რომ PCR-ზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, მათი მინიმუმამდე დაყვანისა და შერბილების ზომები ადეკვატურად იყო გათვალისწინებული საგარანტიო გეგმებსა და პროექტის დიზაინში; როგორც ამას მოითხოვდა SPS-ის 56-ე პარაგრაფი. კერძოდ, ADB-მ არ უზრუნველყო: (i) რომ შეფასების პროცესი დაფუძნებული ყოფილიყო PCR-თან დაკავშირებით შესაბამის საბაზისო მონაცემებზე SPS-ის 1-ელი დანართის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად და რომ გზმ მოიცავდა დეტალურ საბაზისო მონაცემებს პუნქტის შესაბამისად. SPS-ის 1-ელი დანართის მე-9 პარაგრაფის შესაბამისად; და (ii) რომ გზმ-ში შეფასებული ლანდშაფტზე ზემოქმედება და ამის თავიდან აცილება და შემცირება ასახავს ლანდშაფტის ინტეგრაციას SPS-ის PCR დებულებებში PCR-ის განმარტებით, რომელიც მოცემულია SPS-ის 1-ელი დანართის 45-ე პარაგრაფის მე-13 სქოლიოში. შედეგად, ADB-ს არ შეეძლო რწმუნების უზრუნველყოფა, რომ საბოლოო გზმ-ის დეტალურობისა და კომპლექსურობის დონე პოტენციური ზემოქმედებისა და რისკების მნიშვნელობის თანაზომიერი იყო PCR-თან მიმართებით, როგორც ამას მოითხოვს SPS-ის 1-ელი დანართი (იხ. პარაგრაფი 216).</p>	დიახ	სავალდებულო ღონისძიება
3.2 საბჭოს დასტურის შემდგომ	<p>საბჭოს დამტკიცების შემდეგ, ADB-მ არ შეასრულა SPS-ის 58-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მონიტორინგისა და ზედამხედველობის პასუხისმგებლობა ორი თვალსაზრისით:</p> <p>(i) მან არ უზრუნველყო საბჭოს დამტკიცების შემდგომ პერიოდში, PCR-ზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების</p>	არა	რეკომენდებული ღონისძიება

საკითხი	ADB-ის შეუსაბამობის დადგენა	ზიანის დადგენა? (დიახ/არა)	გამოსასწორებელი ღონისძიებების მართვა (სავალდებულო ა/რეკომენდებული ბ/ღონისძიების გარეშე)
	<p>ადეკვატური შეფასება და შემცირება, როგორც ამას მოითხოვს SPS-ის გარემოსდაცვითი გარანტიების მე-2 და მე-4 პრინციპები, პროექტის განხორციელების პროცესში NACHP-ისა და GeoGraphic-ის მიერ ჩატარებული დამატებითი სამუშაოების მიგნებების გათვალისწინებით (იხ. პარაგრაფი 219.)</p> <p>(ii) ის არ ახორციელებდა პროექტის ზედამხედველობას ისე, რომ უზრუნველყო, რომ გადადგმული ნაბიჯები სამშენებლო უარყოფითი ზემოქმედების შედეგად PCR-ის მიმართ არსებული რისკების გადასაწყვეტად შესაბამისობაში ყოფილიყო SPS-ის გარემოსდაცვითი გარანტიების მე-4 პრინციპით დადგენილ იერარქიასთან. (იხ. პარაგრაფი 220.)</p>	არა	რეკომენდებული ღონისძიება
4. სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება და პროექტის სარგებელი			
4.1 უარყოფითი სოციალური ზემოქმედება	<p>უარყოფითი სოციალური ზემოქმედების გამოვლენასა და შემცირებასთან დაკავშირებით, CRP ადგენს, რომ ADB არ შეესაბამებოდა საბჭოს დასტურის წინ დადგენილი კომპლექსური შემოწმებისა და განხილვის ვალდებულებებს, რომლებიც გაწერილია SPS-ის 56-ე მუხლით, რადგან მან, SPS გარემოსდაცვითი საგარანტიო ღონისძიებების მე-2 და მე-4 პრინციპების შესაბამისად, ვერ უზრუნველყო საბოლოო გზშ-სა და მისი გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) ფარგლებში:</p> <p>(i) კონტრაქტორების მიერ მოლაპარაკებული მიწის შესყიდვის უარყოფითი სოციალური რისკების გამოვლენა და ეფექტურად შერბილება;</p>	<p>დიახ</p> <p>არა</p> <p>არა</p>	<p>სავალდებულო ღონისძიება</p> <p>რეკომენდებული ღონისძიება</p>

საკითხი	ADB-ის შეუსაბამობის დადგენა	ზიანის დადგენა? (დიახ/არა)	გამოსასწორებელი ღონისძიებების მართვა (სავალდებულო ^a /რეკომენდებული ^b / ღონისძიების გარეშე ^c)
	<p>(ii) მიწის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შედეგად ზოგიერთ ტერიტორიებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის უარყოფითი ზეგავლენისთვის ადეკვატური შემარბილებელი ზომების განსაზღვრა;</p> <p>(iii) გასცდა პროექტის ვიზუალური შემოქმედების გამარტივებულ მტკიცებებს, რათა დაედგინა პროექტის ლანდშაფტზე შემოქმედების უფრო ფართო სოციალური შედეგები; და</p> <p>(iv) უზრუნველყო უარყოფითი საოპერაციო ფაზის სოციალური შემოქმედების ადეკვატური გამოვლენა და შემცირება, განსაკუთრებით ნაგვისა და ნარჩენების და თემის უსაფრთხოებისა და დაცულობის საკითხებთან დაკავშირებით.</p> <p>მოვალეობების შეუსრულებლობა შემოსხენებული ოთხი (4) მიმართულებით იმას ნიშნავდა, რომ ADB-ს არ შეეძლო საბჭოს დამტკიცებამდე დაედასტურებინა, რომ გამოვლენილი იყო პროექტის ყველა ძირითადი შესაძლო სოციალური შემოქმედება და რისკი; და რომ უარყოფითი შემოქმედების თავიდან აცილების, მისი მინიმუმამდე დაყვანისა და შემცირების ზომები ადეკვატურად იყო გათვალისწინებული საგარანტიო გეგმებსა და პროექტის დიზაინში; როგორც ამას მოითხოვდა SPS-ის 56-ე პარაგრაფი (იხ. პარაგრაფები 264-265.)</p>	<p>არა</p>	<p>რეკომენდებული ღონისძიება</p> <p>რეკომენდებული ღონისძიება</p>
<p>4.2 დადებითი შემოქმედება და სარგებელი</p>	<p>CRP ადგენს ADB-ის შეუსაბამობას OM-ის C3 ნაწილის მიხედვით, ADB-ის ოპერაციებში სოციალური განზომილებების ჩართვის შესახებ, რათა უზრუნველყოს, რომ პროექტის საბჭოს მიერ დამტკიცების წინ განხორციელებული სოციალური ანალიზის ფარგლებში ჩამოყალიბებული ყოფილიყო ღონისძიებები განხორციელების ზომებთან ერთად პროექტის სოციალური სარგებლის მაქსიმალურად გასაზრდელად. (იხ. პარაგრაფი 312.)</p>	<p>არ შეესაბამება: AMP-ის 187-ე პარაგრაფი „შეუსრულებელი მოლოდინების“ შესახებ ეხება ორივე მიგნებას.</p>	<p>ღონისძიებების გარეშე</p>

საკითხი	ADB-ის შეუსაბამობის დადგენა	ზიანის დადგენა? (დიახ/არა)	გამოსასწორებელი ღონისძიებების მართვა (სავალდებულო ა/რეკომენდებული ბ/ღონისძიების გარეშე)
	<p>საბჭოს დამტკიცების შემდგომ პერიოდში, CRP აღგენს ADB-ის შეუსაბამობას OM-ის C3/BP ნაწილის 6(iii) პარაგრაფით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობასთან, პროექტის დიზაინით პროექტის სარგებლის მაქსიმალურად გაზრდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. (იხ. პარაგრაფი 314.)</p>		
<p>5. გენდერი</p>			
<p>5.1 გენდერზე ზემოქმედება ოპერაციულ ეტაპზე</p>	<p>CRP აღგენს, რომ ADB არ შეესაბამებოდა კომპლექსური შემოწმებისა და განხილვის ვალდებულებებს, რომლებიც გაწერილია SPS-ის 56-ე (i) და (ii) მუხლით, მსესხებლის საბოლოო გზშ-ისა და მის EMP-ის საოპერაციო ეტაპის ზემოქმედებებში გენდერული განზომილებების ასახვასთან დაკავშირებით, როგორც ამას მოითხოვს SPS-ის გარემოსდაცვითი გარანტიების მე-2 და მე-4 პრინციპები. (იხილეთ პარაგრაფი 344.)</p>	<p>არა</p>	<p>ღონისძიებების გარეშე</p>
<p>5.2 დადებითი გენდერული ზემოქმედების გაძლიერება</p>	<p>საბოლოო გზშ ეხება ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ადამიანების წინაშე არსებულ კონტექსტურ გამოწვევებს, მათ შორის გზებზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა სერვისებზე წვდომის საკითხებს. ამ საკითხების გენდერული განზომილებები ნათლად არის ხაზგასმული ADB-ის გენდერული და სოციალური ანალიზის ანგარიშში, მაგრამ არ არის გათვალისწინებული მსესხებლის საბოლოო გზშ-ში. ADB არ ეცადა, რომ საბოლოო გზშ-ში ჩაწერილიყო და გადაწყვეტილიყო ეს საკითხები, პროექტის შესაძლებლობების გამოსაკვლევად პოზიტიური გენდერული ზემოქმედების გაძლიერების მიმართულებით, როგორც ამას მოითხოვს SPS-ის გარემოსდაცვითი საგარანტიო პოლიტიკის 4 პრინციპი, რომელიც განხილული უნდა იქნას SPS-ის 1-ლი დანართის დამატების E პარაგრაფთან ერთად. შესაბამისად, CRP აღგენს ADB-ის შეუსაბამობას კომპლექსური შემოწმებისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობებთან SPS-</p>	<p>არა შეესაბამება: გამოიყენება AMP-ის 187-ე პარაგრაფი „შეუსრულებელი მოლოდინები“ შესახებ.</p>	<p>ღონისძიებების გარეშე</p>

საკითხი	ADB-ის შეუსაბამობის დადგენა	ზიანის დადგენა? (დიახ/არა)	გამოსასწორებელი ღონისძიებების მართვა (სავალდებულო ^a /რეკომენდებული ^b /ღონისძიების გარეშე ^c)
	ის 56 პარაგრაფის შესაბამისად გზმ-ს მომზადებასთან დაკავშირებით. (იხ. პარაგრაფი 346.)		
6. იძულებითი განსახლება			
შემოსავლისა და საარსებო წყაროს აღდგენა	CRP ადგენს ADB-ის შეუსაბამობას საბჭოს დასტურის წინა კომპლექსური შემოწმებისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობებთან მიმართებით, SPS-ის 56-ე მუხლის შესაბამისად, შემდეგ საკითხებთან მიმართებით: (i) ადეკვატური შემწეობების ვერ უზრუნველყოფა საარსებო წყაროების აღსადგენად; და (ii) არაფულადი დახმარების ვერ უზრუნველყოფა საარსებო შემოსავლისა და წყაროების აღსადგენად და გასაუმჯობესებლად LARP-ების შესაბამისად, რაც ეწინააღმდეგება SPS-ის არანებაყოფლობითი განსახლების საგარანტიო მექანიზმების მე-2 დანართის მე-12 და 21-ე პარაგრაფების მოთხოვნებს. (იხ. პარაგრაფი 392.)	დიახ	სავალდებულო ღონისძიება
7. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა			
	CRP-ს არ მიუღია საკმარისი მტკიცებულება ADB-ის ქმედებებთან დაკავშირებით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ EMR-ები ასახავდეს კონტრაქტორების გარემოსდაცვითი და სოციალური მუშაობის ადეკვატურ სურათს. CRP-ი ადგენს ADB-ს შეუსაბამობას განხილვის, მონიტორინგისა და ზედამხედველობის პასუხისმგებლობებთან, SPS-ის 58-ე პარაგრაფის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ გამოქვეყნებული EMR-ები შეესაბამებოდეს SPS-ის მოთხოვნას შესაბამისი და ადეკვატური ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ. (იხ. პარაგრაფი 440.) CRP-ის ანალიზის თანახმად, SEMP/TSEMP/SSEMP გეგმები არის	არა არა	რეკომენდებული ღონისძიება რეკომენდებული ღონისძიება

საკითხი	ADB-ის შეუსაბამობის დადგენა	ზიანის დადგენა? (დიახ/არა)	გამოსასწორებელი ღონისძიებების მართვა (სავალდებულო ა/რეკომენდებული ბ/ღონისძიების გარეშე)
	<p>პროექტის საგარანტიო დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა SPS-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამდენად, ისინი ხვდება SPS-ის 71-ე პარაგრაფის, AIP-ის 15 (ii) პარაგრაფისა და OM-ის მე-3 დანართის - L3 ნაწილის ფარგლებში და ექვემდებარება საჯარო გამოქვეყნებას ADB-ის მიერ. CRP აღგენს ADB-ის შეუსაბამობას პროექტის საგარანტიო დოკუმენტების გამოქვეყნების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით SPS-ის 71 პარაგრაფის შესაბამისად, რომელიც განხილული უნდა იქნას AIP-ის 15 (ii) პარაგრაფთან და OM-ის L3 ნაწილთან ერთად (იხ. პარაგრაფი 445)</p> <p>ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მუშაობა ნაწილობრივ გამიზნულია გზმ-ში PCR-ის საბაზისო შეფასების ხარვეზების აღმოსაფხვრელად და, ამ ანგარიშის პროექტზე ADB-ის ხელმძღვანელობის შენიშვნების მიხედვით, მომზადებულია SPS-ის მოთხოვნების შესაბამისად, CRP-ი მიიჩნევს, რომ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს საბოლოო მეორე შუალედური ანგარიში და CHGAP წარმოადგენს პროექტის საგარანტიო დოკუმენტების ნაწილს. ამდენად, ისინი ხვდება SPS-ისა და OM-ის მე-3 დანართის - L3 ნაწილის ფარგლებში და ექვემდებარება საჯარო გამოქვეყნებას ADB-ის მიერ. CRP აღგენს ADB-ის შეუსაბამობას პროექტის საგარანტიო დოკუმენტების გამოქვეყნების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით SPS-ის 71 პარაგრაფის შესაბამისად, რომელიც განხილული უნდა იქნას AIP-ის 15 (ii) პარაგრაფთან და OM-ის მე-3 დანართთან - L3 ნაწილთან ერთად კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ძირითადი საბოლოო შედეგების გამოქვეყნებლობასთან მიმართებით. (იხ. პარაგრაფი 447.)</p>	არა	რეკომენდებული ღონისძიება
8. მონიტორინგი და ზედამხედველობა			
	CRP არ მიიჩნევს, რომ ADB-ის მიერ განხორციელებული ზედამხედველობის ღონისძიებები პროექტის რისკებისა და შემოქმედების თანაზომიერი იყო და აღგენს ADB-ის შეუსაბამობას SPS-ის, 58-ე (iv) პარაგრაფთან. (იხ. პარაგრაფი. 463.)	დიახ	სავალდებულო ღონისძიება

ADB=აზიის განვითარების ბანკი, CRP=შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი, გზშ=გარემოზე ზემოქმედების შეფასება, EMP= გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, EMR=გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში, NACHP=საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, OM=საოპერაციო სახელმძღვანელო, SPS= საგარანტიო პოლიტიკა, PCR=მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები.

შენიშვნები:

- ^a “სავალდებულო დონისძიება” ნიშნავს გამოსასწორებელ დონისძიებებს 2012 წლის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AMP) 190-ე მუხლის შესაბამისად, რომელთა მომზადება სავალდებულოა პროექტის ხელმძღვანელობის მიერ.
- ^b “რეკომენდებული დონისძიება” ნიშნავს გამოსასწორებელ დონისძიებებს, რომელიც არ არის სავალდებულო AMP-ის 190-ე მუხლის შესაბამისად, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათი გამოყენება რეკომენდებულია CRP-ის მიერ ხელმძღვანელობის გამოსასწორებელ დონისძიებებთან ერთად, რათა გადაწყვეტილ იქნას პირდაპირი და მატერიალური ზიანის შესაბამისი ნარჩენი რისკი.
- ^c “დონისძიებების გარეშე” ნიშნავს, რომ არ არის სავალდებულო ან რეკომენდებული ხელმძღვანელობის მიერ გამოსასწორებელი დონისძიებების განხორციელება რაღაც (i) ADB-ის შესაბამისად ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებს არ მიაყენა პირდაპირი და მატერიალური ზიანი; ან/და (ii) ზიანის მიყენება მომავალში არ არის მოსალოდნელი, შესაბამისად, 2019 წლის თებერვლის OGC-ის სახელმძღვანელო მითითების ტერმინების შესაბამისად, არ არის „დაზუსტებით ცნობილი გონივრულ ფარგლებში“, ან/და (iii) 4.2 ნაწილით გათვალისწინებული დადებითი ზემოქმედებისა და სარგებლის და 5.2 ნაწილით გათვალისწინებული დადებითი გენდერული ზემოქმედების გაძლიერების შესახებ მიგნებების შემთხვევაში, CRP-ს არ გააჩნია უფლებამოსილება დაადგინოს ზიანი, ვინაიდან მოქმედებს AMP-ის 187-ე პარაგრაფი „შეუსრულებელ მოლოდინებთან“ დაკავშირებით.

წყარო: შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი.

იმ პირთა სია, რომლებთანაც შედგა შეხვედრა მონიტორინგის პროცესში

შესაბამისობის შემსწავლელი ჯგუფი (CRP) შეხვდა შემდეგ პირებს, როგორც აზიის განვითარების ბანკის (ADB) ფარგლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ პროექტის მონიტორინგის ბოლო მისიის დროს. წინამდებარე ნუსხა არ არის ამომწურავი, რადგან ის არ ასახავს იმ პირებს, რომლებმაც ითხოვეს ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვა.

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო -
საავტომობილო გზების დეპარტამენტი (MRDI-RD)**

1. სალომე წურწუმია, თავმჯდომარის მოადგილე
2. მიხეილ უჯმაჯურიძე, გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი
3. ლუიზა ბუბაშვილი, გარემოსდაცვითი საგარანტიო მექანიზმების კონსულტანტი ADB-ის პროექტების მიმართულებით
4. რუსუდან დოლიჯაშვილი, გარემოსდაცვითი საგარანტიო მექანიზმების კონსულტანტი ADB-ის პროექტების მიმართულებით

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
(NACHP)**

1. ნინო გელოშვილი, გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე
2. პაატა გაფრინდაშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე
3. თამარ კეთილაძე, ოუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო (SUDA)

1. იოანე მენაბდე, სააგენტოს უფროსი
2. ირაკლი ჭუმბურიძე, იურიდიული, ნორმატიული და აკადემიური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი

მომჩივნები

1. მომჩივანი სოფელ ბენიან-ბეგონიდან,
2. მომჩივნები სოფელ ბედონიდან
3. მომჩივნები სოფელ მლეთადან (ძირითადი გზა 1-ელი გვირაბის მოპირდაპირე მხარეს)
4. მომჩივნები სოფელი წკერედან
5. მომჩივნები სოფელი ზაქათკარიდან

არასამთავრობო ორგანიზაცია

1. მანანა ქოჩლაძე, „მწვანე ალტერნატივა“
2. მარიამ დევიძე, „მწვანე ალტერნატივა“
3. პიტერ ნასმიტი, საქართველოს ეროვნული ფონდი